ეროვნული ბიბლიოთეკა


# კვალი

XI. ყოველკვირეული გაზეთი XI.

№ 20 კვირა, 18 მაისი 1903 წლისა. № 20

**გაზეთის ფასი:** ერთი წლით თფილისში 7 მან., ნახევარი წლით 3 მ. 50 კაპ. თფილის გარეთ ერთი წლით 8 მან., ნახევარი წლით 4 მან., სამი თვით 2 მან., თითო ნომერი—15 კაპ.

ხელისმოწერა მიიღება: თფილისში—„წერა-კითხვის გამავრ. საზოგადოების“ კანცელარიაში და „კვალის“ რედაქციაში, სასიონის ქუჩაზე, № 35. ტელეფონი № 734.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція „КВАЛИ“.



შინაარსი: ახალი სასჯელთა დებულება.—სხვადასხვა ამბები.—კორესპონდენციები.—საზღვარგარეთ.—მადიარი, ი ევდოშვილისა.—ჟურნალ-გაზეთებიდან.—გაზაფხული, ლექ. დ. ხუნდაძისა.—სამშობლოს ცაზე, რიგოლეტოსი.—ძიძა, მოთ. ნ. ნაკაშიძისა.—დია წერ. ირაკ. ივ. რამიშვილს, ს. და ნ. რამიშვილისა.—გამოფხილება, ლექ. ბ. ახოსპირელისა —წერ. რედ. მიმართ —განცხად.


## რ ე დ ა ქ ც ი ი ს ა გ ა ნ.

მოვაგონებთ ჩვენ ხელისმომწერლებს, რომ, ვინც ამ თვეში გაზეთის ხვედრ ფულს არ შემოიტანს, მომავალი თვიდან გაზეთი აღარ გაეგზავნება.

## ახალი სასჯელთა დებულება.

„არის ხარკი, რომელსაც კაცობრიობა მეტის სისწორით იხდის, ვიდრე ბუნების ვალს და სახელმწიფო გადასახადს—ეს არის ხარკი, რომელსაც იგი აძლევს დანაშაულსო“. ამბობს საზოგადოებრივი ცხოვრების გამოჩენილი მკვლევარი კეტლე. და თუ დანაშაული ასეთი აუცილებელი რამ არის, აშკარაა მეტათ დიდი მნიშვნელობა აქვს სასჯელთა დებულებას, რომლის მიზანი და საგანი ამ მოვლენასთან ბრძოლაა; ეს ბრძოლა, რასაკვირველია, იმდენათ უფრო ძნელია, რამდენათაც მუდმივი და კანონ-თანხმობითი მოვლენაა თვით დანაშაული მართალია, პირველი შეხედვით, სასჯელთა დებულებას საქმე აქვს ნორმაზე გადასულ მოვლენებთან, გამონაკლებთან, მაგრამ ეს გამონაკლები ისეთი დაჟინებითი მეორდებიან, ისე მჭიდროთ არიან ცხოვრებაზე თანდაყოლილი, რომ მათი მარტო გამონაკლათ, კერძო ადამიანთა ბოროტი ნების განხორციელებათ მიჩნევა ყოვლად შეუძლებელია. დღეს ყველასათვის აშკარაა, რომ დანაშაული სოციალურ-საზოგადოებრივი მოვლენაა და მის ასაცილებლათ უბრალო რეპრესსიული ზომები არა თუ არ კმარა, არავითარი მნიშვნელობაც არა აქვთ. საჭიროა ისეთი ზომების მიღება, რომელთაც გავლენა აქვთ თვით ცხოვრებაზე, ხელს უწყობენ ხალხის კულტურულ-ზნეობრივ განვითარებას დაასუსტებენ დანაშაულის გამომწვევ მიზეზებს. აი საზოგადოთ მიღებული აზრი სისხლის სამართლის მეცნიერებისა. ამ რიგათ თვით სასჯელი მხოლოდ პალიატიური ზომაა, რომელზედაც დიდი იმედის დამყარება არ შეიძლება და თუ აქვს რამე აზრი, ისევ სასჯელს გამასწორებელს, რომლის მიზანია დანაშაულის ჩამდენის გასწორება, ხასიათის გამტკიცება და მისი ნორმალურ პირობებში ჩაყენება. გარდა ამისა სასჯელს აქვს კიდევ ერთი რეალური, მაგრამ თავის თავათ არაკულტურული ნიადაგი—დანაშაულის ჩამდენისათვის სამაგიერო შეწუხების და შევიწროების მიყენება. როგორც კერძო ადამიანი რეაქციას უწევს მაზე მიტანილ იერიშს, სამაგიეროს უხდის მისს შემწუხებელს, ისე საზოგადოებაც ეწინაალმდეგება მისი წესების დამრღვევს, მის ზნეობრივ შეხედულებათა უარმყოფელს. ეს გრძნობა, ვიმეორებთ არაკულტურულია, რადგან დანაშაულის ჩამდენი თავის თავათ არ არის ნამდვილი დამნაშავე, ის მხოლოთ უბედური ადამიანია და მისი მოქმედებისათვის პასუხის მგებელია თვით ის საზოგადოება, რომელსაც იგი გაუზრდია და ისეთ პირობებში ჩაუყენებია, რომ დამნაშავეთ უნდა ქცეულიყო; კიდევ მეტი მონაწილეა ამ საქმეში თვით ცხოვრების მიმდინარეობა. მაგრამ თვით გრძნობა შურისძიებისა ჯერ კიდევ დიდხანს იქნება ბუნებრივი და ამიტომ საზოგადოებრივი ორგანიზაცია იძულებულია, კერძო, უთავდარიგო, ალვირწახსნილ შურისძიების მაგიერ თვით მიიღოს ზომები ამ არაკულტურული გრძნობის დასაკმაყოფილებლათ. მაგრამ უკანასკნელის მხედველობაში მიღება იმდენათ არის საჭირო, რამდენათაც ეს აუცილებელია მოხსენებულ გრძნობის შესაკავებლათ, უმთავრესათ კი სისხლის სამართლის პოლიტიკისათვის საჭიროა ორი მოსაზრებით ხელმძღვანელობა: პირველი—ის უნდა ცდილობდეს შეაკავოს კერძო ადამიანები დანაშაულის ჩადენისაგან—ამას აღწევს საზოგადოება სასჯელის დადგენით ამა თუ იმ მოქმედებისათვის; მეორე—უკვე ჩადენილი დანაშაულის ავტორი გაასწოროს—ამისათვის საჭიროა იმ სასჯელს, რომელსაც დამნაშავეთ ახდევინებს, გამასწორებელი გავლენა ქონდეს და არა ადამიანის ღირსების დამამცირებელი და ტანჯვის მიმყენებელი. თუ ამ თვალით შევხედავთ დღემდის რუსეთში მომქმედ სასჯელთა დებულებას, ის რასაკვირველია ვერ დაგვაკმაყოფილებს და მით უფრო

დიდი მნიშვნელობა ექნება ჩვენ მომავალ ცხოვრებაში 22 მარტს დამტკიცებულ სასჯელთა ახალ დებულებას, რომელიც ტეხნიკურისა და სისხლის სამართლის პოლიტიკის მხრით დიდ წინ გადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს.

ნათქვამია, თუ გინდა გაიცნო რომელიმე ერის ან საზოგადოების კულტურა, გაიცანი მისი სასჯელთა დებულებათ და ეს უტყუარი აზრია. სასჯელთა დებულება ადამიანის ისეთ მხარეებს ეხება, რომ მაში სარკესავი იხატება საზოგადოებაში არსებული წესწყობილება. პირველ ყოვლისა სასჯელთა დებულება არის კანონი და, როგორც ეგეთი, იგი ნაყოფია საზოგადოებაში დაპირდაპირებულ ინტერესთა განწყობილების, ამა თუ იმ ნიადაგზე დამყარებული საზოგადოების წარმონაშობი, იგი სავსებით ემორჩილება, ეთანხმება გაბატონებული კლასის ინტერესს, და მაში ჩვენ შეგვიძლია დავინახოთ ვინ არის დროის ბატონი, ვინ არის ცხოვრების გერათ და უკანონო შვილათ მიჩნეული. სასჯელთა დებულება განსაზღვრავს მოქალაქეთა თავისუფლებას, მათ განწყობილებას ერთმანეთთან, მათ დამოკიდებულებას სახელმწიფოსთან, პოლიტიკურ, პირად და ქონებრივ უფლებათ. ის არის საზოგადოებაში არსებულ უფლებრივ შეხედულებათა გამომხატველი. და აი ამ მხრით საუკეთესო წყარო საზოგადოების შესასწავლათ. მართლაც, როგორც ზევით ვთქვით, დანაშაული არის ნორმას გადაცილებული რაიმე მოქმედება და საქციელი ანუ უფრო მარტივათ და უბრალოთ რომ ვთქვათ, ის, რაც კანონით აკრძალულია, ხოლო რადგან კანონი და კანონმდებელი იმის გამომთქმელია, რაც საჭირო და სასურველია ცხოვრების მეთაური კლასისათვის, ყველგან იმისი შეხედულებაა გატარებული. ამისი დასამტკიცებლათ ბევრი მაგალითები არ დაგვჭირდება. საზოგადოების გაბატონებული ნაწილისათვის საჭიროა და ხელსაყრელი მაგალითათ ერთნაირი პოლიტიკური წყობილება—ყველა ის, ვინც ამ წყობილების წინააღმდეგ მიდის, ებრძვის მას და ცდილობს სხვა გვარის შემოღებას, დამნაშავეა—დანაშაულათ ითვლება არა თუ აქტივურათ მოქმედება, თვით ფიქრიც კი ასეთ რამეზე და სასჯელთა დებულებაც დევნის ასეთ წევრებს. მეორე მაგალითი თუ ძველ საზოგადოებაში, როცა ადამიანთა შრომის ნაყოფი საერთო გასანაწილებელი იყო, დანაშაულათ ჩაითვლებოდა მისი ვისგანმე მიკერძება, დღეს როცა ყველაფერი კერძო საკუთრებაზე არის დამყარებული, დანაშაულათ ითვლება ყოველივე, რაც კერძო საკუთრების წინააღმდეგ არის მიმართული, და კანონის ცდა მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ როგორმე ეს ინსტიტუტი შეამაგროს. თუ ძველ საზოგადოებაში, და ზოგ ახალშიაც, ყოველივე საჭირბოროტო საკითხი მოითხოვს გადაჭრას საზოგადოების დასტურს და მის მიერ. დღეს თვით ასეთი წესის მოთხოვა დანაშაულს შეადგენს და სასჯელს უქადის მომთხოვნელთ. ასეთივე ადვილი ასახსნელია ყველა ის დანაშაულება, რომელნიც ეხებიან ქონებრივ უფლებებს—ყველა ეს წარმომდინარეობს კერძო საკუთრებისაგან, რომელზედაც დამყარებულია თანამედროვე საზოგადოება და, რომ შეგვეძლოს ერთი წამით უიმისოთ წარმოვიდგინოთ ცხოვრება, მაშინ დავინახავდით, რომ სისხლის სამართლის კოდექსში თითქმის არარაფერი დარჩებოდა. მაგრამ ამ წერილის მიზანს არ შეადგენს დანაშაულის ბუნების განმარტება და თუ ნება მივეცით ჩვენ თავს ზოგიერთი ზოგადი აზრების წამოყენებისა, მხოლოდ იმისთვის, რომ მათი მოგონება საჭიროა მკითხველისათვის, როცა ის ძველისა და ახალი დებულების გაცნობას შეუდგება. მართალია ძველი და ახალი დებულებანი ძირითადათ არ განირჩევიან, რადგან ერთსა და იმავე მთავარ ნიადაგზე არიან დამყარებული, მაგრამ ძველს ბევრი ისეთი თანდაყოლილი ნაკლი ქონდა, რომელთა აშორება აუცილებელი იყო და აიშორა კიდეც ახალმა. ძველი დებულების უვარგისობა დიდი ხანია ცნობილია, და [illegible] მხოლოდ ისაა, რომ ამდენ ხანს კიდევ იძულებული იყო ჩვენი სასამართლო მითი ესარგებლნა. მაგრამ ეს ჩვეულებრივი მოვლენაა ჩვენი კანონმდებლობის განვითარებაში, რადგან იგი ძლიერ უფრთხის წინსვლას. ჯერ კიდევ სასამართლოს რეფორმის მოხდენის დროს იგრძნეს, რომ ახალ ფორმაში ძველი შინაარსის დატოვება საქმის დამაბრკოლებელი იქნებოდა, იცნეს რომ, რაგინდ იდეალურათ მოეწყოთ სასამართლო, თუ მატერიალური კანონი დროს და ცხოვრებას ჩამორჩენილი იქნებოდა, შეუძლებელი იქნებოდა „ქმნა მართლისა სამართლისა“ და ეს ყველაზე უფრო საგრძნობელი იყო ჩვენთვის, რომელნიც მოკლებული ვართ ნაფიც მსაჯულთა სამართალს რომელიც კანონმდებლობის მცირეოდენ კორრექტივს მაინც შეადგენს. 1864 წელს სასამართლოთა წესდებასთან ერთათ გამოიცა „წესდება მომრიგებელ მოსამართლეთა მიერ დ სანიშნავ სასჯელთა შესახებ“ და 1866 წელს გამოვიდა ახალი გამოცემა „სასჯელთა დებულებისა“, რომელნიც მხოლოდ გარეგანათ შეათანხმეს „წესდებას“. შემდეგ მხოლოდ 1881 წელს დაარსდა კომისია, რომელსაც დაევალა ახალი დებულების შემუშავება და როგორც იქნა 1903 წელს ე. ი. 22 წლის შემდეგ დავინახეთ ახალი დებულება. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ განსაკუთრებით მესამოცე წლების შემდეგ რუსეთის ცხოვრებამ შესამჩნევათ იცვალა ფერი, ხოლო ძველი დებულება ბევრში მე XVII საუკუნის ნახევრის ნაანდერძევით სულდგმულობდა, ადვილათ წარმოვიდგენთ, თუ რა გასაჭირში იყო სასამართლო. აქვე მოსახსენებელია მხოლოდ ერთი გარემოება ძველი დებულების აქტივში, სახელდობრ ისა, რომ მეფე ალექსი თედორესძეს დროს შემოღებული დებულება (1649 წელს) გადასინჯული და მიღებული იყო წოდებათა წარმომადგენელთა კრებულის მიერ ეგრეთ წოდებულ „ზემსკი სობორის“, და შეიძლება ამითი აიხსნება რამოდენათმე მაინც რომ ის მთლათ არ მოწყდა ცხოვრებას თავის ხანგრძლივ მოქმედების დროს. ამ მხრით ძველს დიდი უპირატესობა აქვს ახალთან, თუმცა უკანასკნელი რუსეთის მეცნიერების საუკეთესო წარმომადგენელთა მიერ არის შემუშავებული და ევროპის მეცნიერთა კრიტიკაში გატარებული.

ძველი დებულების მთავარ ნაკლს წარმოადგენს შემდეგი: ის არის კრებული სხვადასხვა დროს გამოცემულ ცალკე მუხლებისა სხვადასხვა კითხვების შესახებ, და არა სისტემატიური რამ ნაწარმოები, რომლის ერთი ნაწილი მეორესთან იყოს შეთანხმებული, და ამის გამო მისი ცხოვრებაში გატარება გაძნელებული იყო. 1) მასში არ არის გატარებული ერთი რომელიმე განსაზღვრული შეხედულება სასჯელის მიზნის შესახებ, თუმცა მთავარი ადგილი უჭირავს რეპრესიული ზომების სისასტაკით დამშინებელ თეორიას; 2) სასჯელთა სისტემის უვარგისობა თუნდ თვით ამ თეორიის შეხედულებით: 3) არეულია ერთმანეთში ორი შეუთანხმებელი შეხედულება სასჯელის დადების შესახებ, სახელდობრ ერთი მხრით განსაკუთრებული უფლება სახელმწიფოსი ამ სფეროში და მეორე მხრით პატრიარქალურათ უაპელაციო სამართლის უფლება მშობლებისა და „უფროსებისა“ და მათ მიერ დასჯა შვილებისა და ხელქვეითთა; 4) დანაშაულთა რაციონალური სისტემის და კლასსიფიკაციის უქონლობა; 5) სასამართლოს შევიწროვება სასჯელის არჩევაში; 6) დებულების კერძო ნაწილის გადამეტებული კაზუისტიკა; 7) ერთისა და იმავე დადგენილების გამეორება სხვადასხვა ადგილას; 8) დებუ-

ლებაში შეტანილია ბევრი ისეთი დადგენილება, რომელთაც არავითარი კავშირი არა აქვთ სისხლის სამართლის რეპრესსიასთან; 9) ტექსტის რედაქციის სრული უვარგისობა“.

აი ასე არის ანუსხული მომქმედი დებულების ნაკლულევანება „Р. В.“ მეთაურ წერილში № 113. ჩვენ ყველა ამ მუხლების განმარტებასა და დასაბუთებას არ შევიტანთ ჩვენ წერილში, შევჩერდებით მხოლოთ უმთავრესზე. აღვნიშნავთ თუ როგორ ეკიდება ზოგიერთ კითხვებს და ინტერესებს ძველი დებულება და მოვიყვანთ ახალი დებულების სათანადო მუხლებს.

(შემდეგი იქნება)

---

## სხვადასხვა ამბები

თფილისის ვაჭართა საზოგადოებამ მდგომარე წლის ხარჯთაღრიცხვაში შეიტანა 1000 მანეთი 10 სტიპენდიის დასაარსებლათ საკომერციო სასწავლებელში. სტიპენდიები დაენიშნებათ სექტემბრიდან ღარიბ თფილისელ ვაჭართა შვილებს. ამ სტიპენდიების დაარსების ნებართვა გუბერნატორისაგან უკვე მიღებულია.

—

ამ ბოლო დროს ბაქოდან თფილისში დიდ-ძალი ხალხი ჩამოდის. მოდიან ოჯახობით.

—

თფილისის იაფ-ფასიან სასადილოებისა და საჩაიების სასარგებლოთ სობრანიეში გამართულ სეირნობა-ბაზრობიდან შემოსულა ხარჯს გარდა 1252 მან. 52-კაპ.

—

ქუთაისის ქალთა კერძო პროგიმნაზიის მმართველს მიუმართავს ოლქის მზრუნველისთვის, რომ ნება დაერთო მეხუთე კლასის დაარსებისა. მზრუნველს შეუძლებლათ უცვნია ამ შუამდგომლობის დაკმაყოფილება. ამგვარივე შუამდგომლობით მიმართა მზრუნველს ქუთაისის სათავად-აზნაურო სასწავლებლის სამზრუნველო კომიტეტმა, მაგრამ ჯერ პასუხი არ მოსულია. სასურველია მალე გადაწყდეს ეს საკითხი, თორემ მოსწავლენი მეხუთე კლასის გახსნის იმედით სხვა სასწავლებლისთვის არ ემზადებიან.

—

ჩვენ მივიღეთ ლაზარევის „აღმოსავლეთ ენების ინსტიტუტის მიერ გამოცემული წიგნი „Тридцатилѣтіе специальныхъ классовъ Лазар. института восточныхъ языковъ“. წიგნი ინსტიტუტის საბჭოს მინდობილებით შეუდგენია დოცენტს ა. ხახანაშვილს.

—

ქალაქის გამგეობამ სახალხო კითხვათა კომისიას 200 მანათი გადასცა სახალხო კითხვების გასამართავათ პეტერბურგის არსებობის 200 წლის შესრულების სადღესასწაულოთ.

—

როგორც თფილისის პოლიცმეისტრის ანგარიშიდან სჩანს, შარშან თფილისში 180,676 სული მცხოვრები ყოფილა. თფილისში 16,808 სხვადასხვა სახლია და 8 თეატრი, 127 სასწავლებელი, სადაც სწავლობს 11,452 ვაჟი და 8,005 ქალი.

—

როგორც გვატყობინებენ, რაჭის მაზრაში ძლიერ გაძვირებულა სიმინდი. ამ ჟამათ ფუთი სიმინდი მანეთათ იყიდება თურმე. ამის მიზეზათ იმას თვლიან, რომ ქვემო იმერეთსა და გურია-სამეგრელოშიაც აიწია სიმინდის ფასმა. როგორც გადმოგვცეს, ზოგიერთ ვაჭრებს რუსეთიდან დაუბარებიათ 20 ვაგონი პურის ფქვილი და ყიდიან ფუთს 70—80 [illegible] ჯერობით ფქვილის საწყობი გამართულია [illegible] ონსა და სხვაგან.

—

მკითხველებმა უკვე იციან, რომ თფილისში ხელისმოწერა გაიმართა კიშინევში დაზარალებულ ებრაელთა სასარგებლოთ. შეიკრიბა 1000 მანეთამდე. აზრათ აქვთ ახლა წარმოდგენა გამართონ ამავე ებრაელთა სასარგებლოთ.

—

ქუთაისიდან გვწერენ, რომ პირველ მაისს ნიკოლოზ ინკურის ზეინკლის სახელოსნოში ერთი შაგირდი ივანე უგრეხელიძე მუშაობის დროს კბილებიანმა ბორბალმა ჩაითრია და მკვლავის ძვალი დაუშავა. დაშავებული თოფურიას საავათმყოფოში გაგზავნეს. საზოგადოთ ქუთაისში წვრილი ხელოსნები სრულიად არავითარ ყურადღებას არ აქცევენ მაშინების საშიშ ნაწილებს და არ ზრუნავენ მათი დაფარვით შაგირდები უზრუნველ ყონ დასახიჩრებისაგან.

—

თფილისში არსდება მთა-მადნის მწარმოებელი საზოგადოება, რომელსაც აზრათ ექნება სპილენძის დამუშავება ყაზახის მაზრაში.

—

კავკასიის ფარმაცევტთა საზოგადოებამ განიზრახა თფილისში ლექციების მოწყობა აფთიაქის შაგირდებისთვის. ლექციებს წაიკითხვენ ა. პოტკოვი, ი. იაკუბოვიჩი და ი. კუპცია.

—

თფ. გუბ. თავად-აზნაურთა კრებამ გუბერნიის წინამძღოლათ აირჩია თავ. დ. ზ. მელიქიშვილი 151 ხმით წინააღმდეგ 1-ისა დეპუტატთა საკრებულოს მდივნათ ი. ე. ზურაბიშვილი 105 ხმით წინააღმდეგ 44 ისა.

—

გორის მაზრაში, როგორც „ცნ. ფურც.“ წერენ 11 და 12 მაისს ძლიერი სეტყვა მოსულა და ბევრგან სრულიად გაუნადგურებია ნათესები და ვენახები. უფრო დაზარალებულა შემდეგი სოფლები: ნიჩბისი, სოსხარი, თელათ გორი, კავთის ხევი, ხიდის თავი ქვათაშენი, ქარელი, ხაშური, გომი ტყვიავი, ტირძნისი, ვორლი, არბო, მერეთი, კორბი, ცხინვალის ხეობა მეჯვრის ხევი და იმის გარეშემო მდებარე სოფლები.

—

13 მაისს ხორცის დუქნების გამგე კომისიამ განიხილა ევანგულოვის მოხსენება ხორცის დუქნების რეორგანიზაციის შესახებ. კომისია დაეთანხმა მოხსენების ავტორს იმაში, რომ ხორცის დუქნების ხარჯი შემცირდეს.

—

13 მაისს სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭომ გადასწყვიტა გამოსცადოს სეტყვასთან საბრძოლველი ზარბაზანი ბარონ როზენის სისტემისა. ამ მანქანას დასდგამენ თავად ერისთავის მამულში კასპის მახლობლათ, სადაც ამ ჟამათ საბაღოსნო შკოლის მოსწავლენი მუშაობენ. თუ ასე ვერ გაიგებენ მანქანის სიავ-კარგეს, კახეთში გაგზავნიან რომელსამე მემამულის ვენახში დასადგმელათ და სხვა სისტემის მორტირებთან შესადარებლათ.

—

ტფილისის გუბერნატორმა განკარგულება მოახდინა რომ ქალაქის გამგეობებმა თავიანთი ხარჯთაღრიცხვა და

ანგარიშები უსათუოთ გაუგზავნონ ხოლმე შინაგან საქმეთა სამინისტროს. როგორც გუბერნატორს შეუტყვია, ხარჯთ-აღრიცხვას და ანგარიშს ყველა ქალაქის გამგეობა არა გზავნის თურმე. გამგეობებმა თითო ცალი ხარჯთაღრიცხვისა უნდა გაუგზავნონ აგრეთვე მთავარმართებლის კანცელარიას და გადასახადთა დეპარტამენტს.

—

სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების წლიური კრება დანიშნულია 23 მაისისთვის. კრებამ უნდა განიხილოს საზოგადოების მოქმედების ანგარიში. უნდა აირჩიოს აგრეთვე საზოგადოების საბჭოს წევრები ნაცვლათ ბ ნ ნ. ა. სულთან-კრიმ-გირეისა, ვ მ. სოკოლოვისა, პ. ყიფიანისა და ა. გ. ევანგულოვის, რომელთაც სამსახურის ვადა უთავდებათ. ამავე კრებაზე ასარჩევია საზოგადოების გაზეთის სარედაქციო კომისია და ტფილისის საბაღოსნო შკოლის სამეურნეო ნაწილის გამგე კომისია. კრება საღამოს 8 საათისათვის არის დანიშნული.

—

ჩვენ მოგვივიდა ახალი წიგნაკი „დამაკვირდი ანუ რჩეულ აზრთა კრება,“ შეკრებილი სილ. თ-ძისა და ევ. ს-ძისა- წიგნაკში არ არის მოხსენებული საიდან ამოუკრებიათ აზრები. ღირს წიგნაკი 10 კაპ.

—

თფილისის პოლიცმეისტრის ანგარიშით წარსულს წელს თფილისში ითვლებოდა 3,859 სავაჭრო და საწარმოო დაწესებულება და წლიური საწარმოო თანხა ქონდა 19.144,416 მან. წში 240 ფაბრიკა და ქარხნები 8,771,286 მან. თანხით, წლის განმავლობაში უმუშავნია მათში 4,434,560 კაცი ხელოსანები თანაშემწეები და შარგიდები ითვლებოდა 20,062 კ. ბაღებისა და ბოსტნებისაგან ზომით 268 დეს. წლის განმავლობაში შემოსულა ხილი და წვანილი 9,872 ფუთი ფასათ 162,521 მანათისა და 20 კაპეიკისა. მაშენიკობა მომხდარა 42, მკვლელობა 21, დაჭრა 92, მოწამლვა 10 ჩუმათ ცეცხლის წაკიდება 3, ძალათ გარყვნა 16 მიგდება ბავშვისა 108, გადაწვა 74, რასაც ზარალი მოუტ. 156,816 მან. მცხოვრებთა რიცხვი ქალაქში იყო 189,676 კ. დაიბადა 5106 დაქორწინებულა 1146. საზოგადო საეკკლესიო და კერძო შენობები 16,808. ამაში 8 თეატრი, 127 სასწავლებელი, სადაც სწავლობდა 19,457 ვაჟი და ქალი, 5 თავშესაფარი შკოლა, 13 თავშესაფარი, რომლებშიაც წლის განმავლობაში ყოფილა 43200 კაცი. ამათ რიცხვში ღამის თავშესაფარში 35208 თავშესაფარებზე დახარჯულა 637833 მ. 79 კაპ.

—

ნიკოლოოზ ჯავრიშვილის მოკვლის საქმის გამოძიება მიენდო გამომძიებელს ლ. გ. ევანგულოვს. ჯავრიშვილი მოკლეს 14 მაისს დილის 11 საათზე, გოლოვინის პროსპექტზე ტფ. საკრებულოსთან. მრავალი ხალხი თვალის წინ. ნიკოლოოზ ჯავრიშვილი „პურლვინოს“ სასტუმროს წინ დასეირნობდა თურმე. შეხვედრია ახალგაზრდა კაცი, გაზენი რომლისთვისაც ჯავრიშვილს თავისდა უნებურათ მხარი წაუკრავს. გაზენს გული მოსვლია, მოტრიალებულა და სილა გაურტყამს ჯავრიშვილისათვის, რომელსაც სამაგიერო სილითვე გადაუხდია, მაგრამ ისე ძალიან კი გაურტყამს, რომ გაზენი იქვე წაქცეულა. ამის შემდეგ ჯავრიშვილი ჩასულა ქუჩაში და წასვლა დაუპირებია. გაზენი წამომდგარა, ამოუღია რევოლვერი და უსროლია. გაზენს რევოლვერი ოთხჯერ დაუცლია. დაჭრილი მიხეილის სამკურნალოში გაგზავნეს, მაგრამ გზაზე სული დალია. გამომძიებელმა ამ საქმის გამო ბაზე 15 კაცს ჩამოართვა ჩვენება. როდესაც გასჭრეს ჯავრიშვილი, სამის ტყვით დაჭრილი აღმოჩნდა. ... ჯავრიშვილი სულით ავათმიოფი იყოო.

—

30 აპრილს თბილისის სამოსამართლო პალატამ გაარჩია კერძო სარჩივარი ვასილ პორაკოვის ვექილის ი. ა. კარაბეგოვისა, რომელიც ურიოდა ვლადიკავკაზის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარეს თანაშემწეს პორაკოვის თხოვნის ყურადღებოთ დატოვებას იმ მიზეზით, რომ სარჩივარი შევსებული არ იყო მომჩივანისგან.

ბ პორაკოვს სარჩივარი ვლადიკავკაზის საოლქო სასამართლოში შეუტანია დ. ზ სარაჯიშვილზე იმის შესახებ, რომ ეს უკანასკნელი უკანონოთ ფლობს 74 დესეტინა მიწას მაზე აშენებულ არაყის და კონიაკის ქარხანას და სხვა შენობებს და თხოვდა ამ ადგილების ჩამორთმევას და მისთვის, მომჩივანისათვის, გადაცემას. ამასთანავე თხოვდა მოსპობას 1891 წ. 11 მაისს მიცემულ ხელშეკრულობისა, და აღდგენას იმ ზარალისა, რომელიც მას მოუვიდა ამ უკანონო მფლობელობით 1885 წ, როცა გარდაიცვალა მამა მისი, რომელსაც ეკუთვნოდა ეს ადგილი სამფლობელოთ. მომჩივანის სიტყვით, ხსენებული სახაზინო მიწა 60 წლებიდან მიცემული ქონდა ოთხ პირს, მათ რიცხვში მომჩივნის მამასაც, ივანე პორაკოვს, საშვილიშვილო სამფლობელოთ იმ პირობით, რომ ზედ არაყის სახდელი ქარხანა აეშენებიათ.

1879 წ. ნოტარიალური ხელშეკრულობით ეს ადგილი მამა მისის, ივანე პორაკოვის ხელში გადავიდა. 1885 წ. ივანე პორაკოვი გარდაიცვალა ისე, რომ ვერ მოასწრო ადგილის ჩაბარება სამუდამოთ საშვილიშვილო სამფლობელოთ. ბავშვების მცირეწლოვანობის გამო ადგილის მართვა-გამგეობა დავ სარაჯიშვილმა ჩაიგდო ხელთ, ხოლო 1891 წ. კიდეც აიღო სტავროპოლ-ტერსკის სახელმწიფო ქონებათა გამგეობიდან მოწმობა და ნოტარიალური წესით ჩაიბარა ადგილი სამუდამო სამფლობელოთ. გამგეობის მოწმობაში, სხვათა შორის, ნაჩვენებია, რომ ეს ადგილი აღებული ქონდა დავით სარაჯიშვილს 1867 წლიდან, ე. ი. მაშინ, როცა ის ისევ მასწავლე იყო.

ეს სარჩივარი არ იყო შევსებული, რადგან მფლობელობის უფლებას ეხებოდა.

თბილისის სასამართლო პალატამ უარყო ვლადიკავკაზის საოლქო სასამართლოს განაჩენი და გადაწყვიტა თხოვნას კანონიერი მსვლელობა მიეცეს.

—

10 მაისს, თფილისის სამოსამართლო პალატამ გაარჩია საქმე ქ. ქუთაისის მცხოვრების მიხეილ მირიანაშვილისა და შორაპნის მაზრის სოფელ დილიკაურის მცხოვრების გარსევან ჩუბინიძისა. პირველს ბრალდებოდა ყალბი ფულის მოჭრა, ხოლო მეორეს—გასაღება. როგორც საქმიდან სჩანს, საქმის გარემოება შემდეგია: 1902 წელს ყვირილაში მებუფეტე ჯაფარიძისთვის ჩუბინიძეს ერთი ჭიქა არაყი მოუთხოვნია და 50-კაპეიკიანი მიუცია. ჯაფარიძეს საღამოს უნახავს, რომ ათშაურიანი ყალბი იყო. ჩუბინიძეს მეორე დღესაც ასეთი ათშაურიანი გადაუცია იმისთვის. ჯაფარიძეს ფული აღარ მიუღია. მაშინ ჩუბინიძეს ნამდვილი ფული ამოუღია. ჯაფარიძეს ეს ამბავი უცნობებია პოლიციისთვის, რომელსაც ჩუბინიძე პოლიციაში წაუყვანია. გზაზე პოლიციელს შეუნიშნავს, რომ ჩუბინიძემ რაღაც ჩვარში გახვეული დააგდო. გახსნეს და ნახეს, რომ შიგ ელაგა 13 მანათამდე ვერცხლის ფერი მანათიანები. პოლიციაში გაჩხრეკის დროსაც აღმოაჩნდა ყალბი ფული ცხვირსახოცში გახვეული. ჩუბინიძე არ გამოტეხილა, მაშინ ბოქაულის განკარგულებით, პოლიციელი დათაშვილი, ვითომდა მთვრალი, დაუპატიმრებიათ იმ ოთახში, სადაც ჩუბინიძე ყოფილა. დათაშვილს გაუგონია ჩუბინიძე მეორე პატიმარს როგორ ეუბნებოდა, რომ ეს ფული გადმომცა მიხეილ მირიანაშვილ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მათ. ბოქაულს გაუჩხრეკია მიხეილ მირიანაშვილის სახლი, სადაც უნახავს ექვსამდე სხვადასხვა მანქანა ყალბი ფულის საჭრელი. გაუჩხრეკიათ აგრეთვე ჩუბინიძეც და იქ ორი მანქანა უნახავთ. ორივე ბრალდებული პასუხისგებაში მიუციათ. ქუთაისის ოლქის სასამართლოს დამნაშავეთ უცვნია ბრალდებულნი და გადაუწყვეტია მირიანაშვილისათვის ყოველისავე ღირსების ჩამორთმევა და კატორგაში 4 წლით გაგზავნა, ხოლო ჩუბინიძისათვის—ზოგიერთ უფლების ჩამორთმევა და პატიმართა გამასწორებელ რაზმში 5 წლით გაგზავნა. სამოსამართლო პალატამ გუშინ დაამტკიცა ქუთაისის ოლქის სასამართლოს განაჩენი ჩუბინიძის შესახებ, ხოლო მირიანაშვილი უდანაშაულოთ იცნო.

---

## კორესპონდენციები.

**აგაშის საზოგადოება** (იმერეთი). არ მგონია სადმე იმერეთში ისეთი კუთხე იყოს სწავლა-განათლებას მოკლებული, როგორც ეს საზოგადოებაა. ამ საზოგადოებაში დაახლოებით (რამდენიმე სოფელია) ცხოვრობს 1000-მდე კომლი და ამდენ მცხოვრებთ რიგიანი სკოლა არ მოეძევათ. მართალია, არსებობს რამდენიმე ერთკლასიანი სამინისტრო შკოლა, მაგრამ მათ არ შეუძლია ხალხის გონებითი საზრდოს მოთხოვნილება სავსებით დააკმაყოფილონ. რა უნდა ქნას გლეხმა, რომელიც არამც თუ რომელიმე ქალაქში ვერ გაგზავნის შვილს სასწავლებლათ, არამედ თავის შვილისთვის ანბანის სწავლებაც უჭირს სიღარიბის გამო. სწორეთ სამწუხარო სურათს წარმოადგენს ამ მხრით მათი მდგომარეობა. აქაური შკოლა კი იმდენათ ვერავერ ნაყოფს იძლევა, რომ წერა-კითხვა მაინც ისწავლონ მასში მოსწავლემ. ამისთვის კარგი იქნებოდა რამდენიმე სოფელი შეერთდებოდეს და საერთო ორკლასიან შკოლას დაარსებდენ, რაშიაც ხაზინაც შემწეობას აღმოუჩენდა. ვისმესაგან გლეხს რომ წერილი მოუვიდეს, მთელი სოფელი უნდა შემოატაროს, იქნებ ვინმემ წერილი წაუკითხოს და მისი შინაარსი გააგებინოს. კარგი იქნებოდა, რომ ვინმე ითავებდეს ამ საკეთილო საქმეს და ხალხს შეაგნებინებდეს შკოლის საჭიროებას. მით უმეტეს—თითო-ოროლა ინტელიგენტი (თუ შეიძლება ასე უწოდოთ მათ) აქეთაც მოიძებნება და დიდს სამსახურსაც ჩაეთვლებათ და აგრეთვე გავლენასაც მოიპოვებდენ ხალხში, რომ არ დაიზარებდენ, ჩააგონებდენ, წინ წაუძღვებოდეს მათ და სწავლის და შკოლის მნიშვნელობას გააცნობდენ. რაც შეეხება იმ შკოლებს, რომელნიც ახლა არსებობენ, შეიძლება მათი გაფართოვება და ორკლასიანათ გადაკეთება. აგრეთვე აქეთ არ არსებობს ბიბლიოთეკა-სამკითხველო და არც გაუგონიათ ამ სასარგებლო დაწესებულების სახელი. კარგი იქნებოდა ამ საკეთილო და საშვილი-შვილო საქმეს ითავებდეს ბ ნი ერ. კ - შვილი, რომლის მეოხებითაც დღეს სადგურ საჯავახოში არსებობს სასოფლო შემნახველ-გამსესხებელი ბანკი და რომელმაც, ცოტათ თუ ბევრათ, ქონებრივათ წინ წასწია ამ საზოგადოების მცხოვრებნი, რომელნიც დიდი მადლობელი არიან მისი.

არა ნაკლებ გაჭირვებაშია აქაური მკვიდრი ჩავარდნილი უექიმობით და საზოგადოთ, უწამლობით. როგორც ვთქვით, ამოდენა საზოგადოებაში ერთი ექიმი ანუ ფერშალი არ მოიპოება, ხალხი კი ამდენს გაჭირვებას ითმენს. ავათმყოფი გლეხი იძულებულია 15—20 ვერსი გზა ფეხით გაიაროს, რომ იქნება სადმე დაბაში ექიმს მიმართოს, რომლისთვისაც ფული უეჭველათ მზათ უნდა ქონდეს საბრალო გლეხს, თორემ ისე ზედაც არ შეხედავს ექიმი. შესაძლებელია, ვინმე სიკვდილის პირზეა, მიმართონ უნდა ექიმს საჩქაროთ, ხოლო შეკაზმული ცხენი თანვე უნდა წაიყვანონ, რომ ექიმს ფეხით არ მოუხდეს სიარული და, წარმოიდგინეთ, ცალკე ექიმის გასამრჯელო, ცალკე ცხენის ქირა, თუ საკუთარი არა ყავს გლეხს, და ამ დროს განმავლობაში კი შეიძლება ავათმყოფი წუთისოფელსაც გამოესალმოს. თუ არა და სოფლის ექიმბაშს და მარჩიელს უნდა მიმართოს, რომლებიც ათასნაირ ცრუ ლოცვებსა და დარიგებას აძლევს, როგორმე ცოტაოდენი ფული ააყვლიფოს, ხოლო ავათმყოფი მორჩება თუ „განისვენებს“, ფეხებზე კიდია. აი ამ მდგომარეობაშია ხალხი უექიმობის გამო ჩაცვივნული, რის გამოც ფესვი გაიდგეს ექიმბაშებმა და მკითხავებმა, რომელნიც ათასნაირ ცრუ-მორწმუნეობას ავრცელებენ გულ-უბრყვილო ხალხში. ყველა ამის მიზეზი კი უშკოლობა და წერა-კითხვის უცოდინარობა გახლავთ. როგორც ხმა დადის, აქაურ სამ საზოგადოებას-განუზრახავს სასოფლო ქსენონის დაარსება და მასთან ერთი ექიმის მოწვევაც, რაც დიდათ სასიხარულო იქნება. კარგს იზამს ქ. ი. ჯ—ი, რომ ითავებდეს და განზრახულ კეთილ საქმეს განახორციელებდეს

ამ საზოგადოებას არც მამასახლისი ყავს ხეირიანი! გზები ისეთ მდგომარეობაშია, რომ კაცს არ გაევლება. მაგრამ აქაური სოფლის „მამა- ამისთვის ნაკლებათ ზრუნავს. სოფლის სამართველოში ყრილობას ნიშნავს ორ თვეში ერთხელ და ისიც მთავრობის რაიმე განკარგულების გამოსაცხადებლათ. თუ ვინიცობაა და რომელიმე გლეხმა სიტყვა გაუბედა და პასუხი შეუბრუნა, ვაი მისი ბრალი, მაშინვე ფეხებს დაუბაკუნებს და „ნაობახში“ ატკუციებს თავს. გამოშვებით კი მაშინ გამოუშვებს, თუ „თეთრი ფარა“ დაინახა... ამბობენ, ვადას რო გაათავებს უნდა გამოვცვალოთო და, მგონი, კარგიც იქნება, მხოლოდ მის მაგიერ სოფლის ხალხისთვის ვინმე გულ-შემატკივარს და მზრუნველს რომ ამოირჩევდენ მამასახლისათ, ყველას ემჯობინება...

მცირე შენიშვნა საჯავახოს სადგურის უფროსს. ეს ვაჟბატონი ისე განებივრებულა, რომ ლამის ტყავი გააძროს ისედაც გადატყავებულ სოფლის გლეხებს. მაგ., სადგურზე ბილეთს იღებთ და ხურდა არა გაქვთ, რამდენიც ბილეთისთვისაა საჭირო, „სდაჩს“ უნდა გამოემშვიდობოთ, რამდენიც უნდა იყოს იგი. თუ გაბედეთ და ხმა ამოიღეთ ამაზე (ხშირათ ბილეთის აღებასაც ვერ ასწრობს მგზავრი, რადგან 3 წუთით ჩერდება მატარებელი), პასუხათ მიიღებთ: „Мелочи нѣтъ, убирайтесь вонъ отсюда“-ო. და ამგვარათ ეს ვაჟბატონი სადგურის უფროსი შემთხვევით სარგებლობს და თითო-ოროლა კაპეიკს და ხან მაურსაც „სდაჩს“ აღარ უბრუნებს ხოლმე მგზავრებს. აგრეთვე ხშირათ „პილატეს ცრემლში“ გაყლენთილი ასრულებს თავის თანამდებობას. რკინის გზის სამართველოს რამდენჯერ მოუხდენია განკარგულება, რომ რკინის გზის სადგურების უფროსებმა წვრილი ფული იქონიონ ხოლმე კასაში, მაგრამ ამ ლოთი-ფოთზე ვერაფერმა განკარგულებამ ვერ იმოქმედა... ძლიერ კარგი იქნება, ამისთანა სადგურის უფროსები აილაგმონ, ვისგანაც ჯერ არს.

უ. ჯ-ი.

---

**ს. ჩოჩხათი** (ოზურგ. მაზ.). ექვს მაისს ღამით, სოფელ ჩოჩხათში ერთი შემაძრწუნებელი ამბავი მოხდა. ღამით პოლიციის დარაჯები თავს დაესხენ ამ სოფლის მცხოვრების გ. სახლს, სადაც იმალებოდა ხვარბითის საზოგადოების მცხოვრები, ყაჩაღი ტ. და დაიჭირეს კიდეც, მხოლოდ მოკლეს მასპინძლის ცოლი, რომელიც თავ-დასხმის დროს ბავშვით ხელში გარეთ გამოდიოდა და დასჭრეს ბავშვი. ყაჩაღთან ერთათ დაიჭირეს კიდევ ორი ვაჟბატონი, რომლებიც მასთან სათათბიროთ მისულიყვენ და რჩევას აძლევდენ. ამნაირი ვაჟბატონების შემწეობით ზემოხსენებულმა ყაჩაღმა ბევრი შეწუხება მიაყენა, როგორც სოფელ ხვარბეთს, ისე სხვა ახლო-მახლო სოფლების მცხოვრებთაც. მაგრამ ამნაირი ვაჟბატონებისავე შემწეობით დღემდის ვერ დაიჭირეს და დღესაც მისმა დაჭერამ ორი ადამიანი იმსხვერპლა. დიდათ საჭიროა, რომ მთავრობა მიიღებდეს ზომებს ამნაირი ვაჟბატონების ასალაგმავათ, რომლებიც ხელს უწყობენ ყაჩაღებს, ეხმარებიან ავ საქმის ჩადენაში და თუ საჭირო დარჩა, კიდევაც ცრუმოწმობას უწევენ მათ. ხოლო ამნაირი შემწეობით ჩვენში დღითი დღე მრავლდება ავკაცობა, რაიცა დიდათ ხელის შემშლელია მუშა ხალხის კულტურულ წინმსვლელობისათვის.

ხორეთელი.

**ს. სახარბედიო** (სამეგრელო). ეს სოფელი განათლების მხრით ძლიერ უკან არის დაწეული და ამაზე რომ იზრუნოს ვინმემ ეს ხომ ძველი ტიბიკონის წინაალმდეგი იქნება. ამ გაუნათლებლობას ზედ ემატება აქაური სოფლის მცხოვრებთა სიღარიბეც. უბედურების კიდევ უფრო გასაძლიერებლათ აქ გამოჩნდა ერთი ცრუ მონასტერი, რომელმაც ამ სოფლის ხალხი ვაივარამში ჩააგდო. საჭიროთ ვრაცხ ორიოდე სიტყვა ვთქვა ამ მონასტრის შესახებ.

ამ სოფლის ერთ მაღლობ ადგილზე დარჩენილი იყო ნანგრევი ძველი ეკლესიის, რომელიც ათი წელიწადია მას შემდეგ რაც განახლა ერთმა ხობში (მონასტერაა) ნამყოფმა ბერმა, მღვდელ-მონაზონმა ალ. შ—იამ და შეარქვა „ძმათა სავანე". აქ მან მიიწვია თვისთან „მაშვრალნი და ტვირთ მძიმენი". რომ განაახლა კარგი, მაგრამ რაც შეეხება ამ მღვდელ-მონაზვნის საქციელს, სწორეთ საძრახისია. აი, მაგალითათ, რა სიყალბე ჩაიდინა მან: სთქვა, რომ ჩემის ლოცვით ეს და ეს ავათმყოფი ქალი განვკურნეო; ნახეს, რომ ქალი მართლა ლოგინიდან წამომდგარიყო. გაუნათლებელმა ხალხმა ეს სასწაულათ ჩათვალა და დაუწყეს მას საწირავების მიცემა თავიანთი მიცვალებულისათვის, მით უმეტეს, რომ ის ბერი ხშირათ ელაპარაკებოდა სოფლელებს—ჩვენებით ვნახე, ეს და ეს კაცი ეშმაკების ხელშია და წირვა ეჭირვებაო. საცოდავი სოფლელები, რომელთაც სახელმწიფო ბეგარა კისერზე აწევთ და ის ვერ გადაუხდიათ, ბერს ბუთ და ათ მანეთობით უგზავნიან ფულებს. მაგრამ ერთმა შემთხვევამ ამ ბერს ცოტა ხელი შეუშალა თავის ოინის განგრძობაში. ამ დროებით იმ წმინდანმა ბერმა თქვა, რომ წუხელ მთავარ-ანგელოზი გაბრიელი გამომეცხადა და მითხრა, ესა და ეს კაცი მიწას არ აქვს მიცემული თავის ცოდვისათვისო. რაწამს ეს შეიტყვეს მშობლებმა, მაშინათვე მიირბინეს „წმინდანთან", ამან კი დარიგება მისცა—წირვა ეჭირვებაო. მშობლებმა შექნეს ტირილი და ვაება, რაკი შვილი ზეცაში წაწყმედილი ეგონათ. მწუხარებაში მყოფ მშობლებს ერთმა შეგნებულმა პირმა ურჩია, რომ საფლავი ამოეთხარათ და ენახათ თავისი მიცვალებული. მართლაც ეს რჩევა სისრულეში მოიყვანეს. თითქმის მთელი სოფლის მცხოვრები გაემგზავრა სასაფლაოსკენ (მთავარ-ანგელოზის ეკლესიაში), ამოთხარეს იქ იმ მიცვალებულის საფლავი, მაგრამ მარტო ძვლებიღა ნახეს. ჩვენი „წმინდანიც" აქ იყო და ცოტათი შეწითლდა, მარა მით იმართლა თავი რომ მთავარანგელოზს ალბათ, სხვისთვის უთქვამსო, თორემ ტყუილის თქმას როგორ იკადრებდა ანგელოზიო. მადლობა ღმერთს, ამ საუკუნეშიაც არიან წმინდანები, მაგრამ ისეთები კი, როგორიც არის ზემოხსენებული „წმინდანი" ალ. შ—ია.

ამ უკანასკნელ დროს ერთმა შეგნებულმა პირმა ამხილა „წმინდანს"—ხალხს ნუ აცდენო და მას მართლა შეეშინდა და აშკარათ საწირავების მიღება შეწყვიტა (მერე მთავარანგელოზიც არ გამოცხადებია!..); ისედაც ბევრ ფულს მოუყარა თავი.

საჭიროა ამისთანა წმინდანებმა (თუ კიდევ არიან) წმინდანობას თავი დაანებონ, თორემ სადაც ამისთანები გამოჩნდებიან, იქ მიცვალებულებსაც ამოთხრიან და გაუნათლებელი ხალხის ჯიბეებსაც ამოცლიან...

ოტია.

---

**ქ. ართვინი.** ქ. ართვინის მცხოვრებლები არიან სომხები და მცირე ნაწილი მაჰმადიანი ქართველებიც. არიან საკმაოთ ქრისტიანი ქართველებიც. ეს ქალაქი დღეს-დღეობით სწორეთ პირველყოფილ მდგომარეობაშია. მთელ ქალაქში არ მოიპოვება ერთი ბიბლიოთეკა; ბიბლიოთეკას დავეთხოვოთ, წიგნის მაღაზიაც კი არ არის. თუმცა წინეთ ყოფილა აქ ბიბლიოთეკა, მაგრამ ვერ უხეირნია და ისევ დაუკეტავთ, რადგან წიგნის კითხვის მსურველი ნაკლები ყოფილა. ასე გასინჯეთ, ჟურნალ-გაზეთებსაც კი იშვიათათ შეხვდებით, რომ ვისმეს მოსდიოდეს ამოდენა ქალაქში. აქ ბიბლიოთეკის და ჟურნალ-გაზეთების ადგილს იჭერს რესტორანი და სხვა გასართობი ადგილები, სადაც იკრიბებიან, როგორც უსწავლელი ახალგაზდები, ისე ნასწავლი და მთელ დღეს ქეიფში ატარებენ. თუ შეხვდებით [illegible] ლიგენტს, ისიც რადაც გულგრილათ და ამპარ[illegible] ყველა ნაკლულევანებას და აზრშიაც არ მოდის ხალხის კეთილდღეობაზე ზრუნვა. სასწავლებელიც ცოტა არის აქ; არსებობს მხოლოდ ერთი ორკლასიანი სასწავლებელი და ერთიც სამრევლო შკოლა, რომლის გათავების შემდეგ მოწაფეები ართვინს ვეღარ ცილდებიან სწავლის გასაგრძელებლათ და ისევ ცხოვრებისაგან ჩათრეულნი თავიანთ ჭკუა-გონებას სხვადასხვა უხეირო სათამაშოებით და ქეიფობით აჩლუნგებენ.

უგზობის გამო მცხოვრებლები დიდ გაჭირვებაში არიან. ერთადერთი გზა, რომელიც გამოდის ბათუმიდან და მდ. ჭოროხის ნაპირს გაუყვება, სწორეთ საშიშარ სურათს წარმოადგენს. ყოველ საათში უბედურ შემთხვევას უნდა მოელოდე და ამიტომ ამ გზაზე ეტლით მიმოსვლა ძნელია მაგ., ამას წინეთ ქ. ბათუმიდან გაემგზავრა დილიჟანი ს. ბორჩხაში (იმას იქით კი აღარ მიდის). მოგზაურობის დროს ჩამოინგრა კლდე და ერთი დიდი ქვა დილიჟანს დაეცა; ცხენები დაფთხენ, დილიჟანი ვიწრო გზაზე ვეღარ გაეტია და გადავარდა. ერთი მგზავრი იქვე მოკვდა, სხვები კი როგორღაც გადარჩენ, ხოლო ცხენები და დილიჟანი კი დაიმტვრა და მდ. ჭოროხში ჩაცვივდენ. აი ასეთი გასაჭირია მოგზაურობა ამ გზაზე, რომელიც სრულიათ შეუკეთებელია. ამიტომ ქ ართვინი განცალკევებული და ჩამორჩენილია სხვა ქალაქებზე თუ იკითხავთ ქალაქის მდებარეობას, სწორეთ მოსაწონია: მშვენიერ გორაკზეა გაშენებული, მაგრამ აქაურ ქუჩებში სიარულის დროს კარგი ბიჭობა გინდა, რომ ნაგავში არ დაიხრჩო. განა ქუჩების სიწმინდე რა საჭიროა, მხოლოდ თვითონ კი ყოველ დღეს ქეიფი ატარონ და აი იმათი საქმე.

კარგი იქნება რომ აქაური მართველობა უფრო მეტს ყურადღებას მიაქცევდეს მცხოვრებლების მდგომარეობის გაუმჯობესებაზე

ხ. რამიშვილი.

---

## რუსეთის ცხოვრება.

დონის როსტოვში გაუვრცელებიათ ხმა, რომ ებრაელები უნდა ამოჟლიტონო. ებრაელნი ამ ხმას ძალიან შეუშინებია. ებრაელთ ოლქის უფროსისთვის მიუმართავთ შემწეობის აღმოსაჩენათ. 30 აპრილს მოელოდენ უწესოებებს. სასტუმროები შეძლებულ ებრაელებით გაივსო თურმე. პირველ მაისს მაღაზიები სულ დაკეტილი იყო. გარეთ ვეღარც ერთ ებრაელს ვეღარ შეხვდებოდით. საბედნიეროთ, მოლოდინი არ გამართლდა და დღემ მშვიდობიანათ ჩაიარა.

— სახელმწიფო საბჭოს გადაეცა განსახილველათ ერთი საინტერესო პროექტი, შესახებ „მუშათა სტაროსტების" დაწესებისა ქარხნებსა და მთა-მადნებში. ამ პროექტით სტაროსტები საქარხნო ინსპექტორისა და საოლქო ინჟენერის ნებართვით მუშებმა უნდა აირჩიონ თავიანთ წარმომადგენლებათ. ამ სტაროსტებმა მუშების მაგიერ ქარხნის ადმინისტრაციასა და საქარხნო ინსპექციასთან უნდა იქონიონ დამოკიდებულება იმ საქმეების შესახებ, რაც მუშათა დაქირავებას და მუშათა მდგომარეობას შეეხება. საქარხნო ინსპექციას უფლება ექნება, თუ ქარხნის პატრონს არა სურს, ძალა დაატანოს და სტაროსტები აარჩევინოს. მუშებს ამ სტაროსტების მეთაურობით შეეძლებათ შეიკრიბონ და თავიანთ საქმეების შესახებ მოილაპარაკონ ხოლმე. პროექტით საგუბერნიო მთავრობას შეუძლია თუ დარწმუნდა, რომ სტაროსტათ არჩეული კეთილსაიმედო კაცი არ არის, ვადამდე გადააყენოს.

— „ველ. ოდეს. გრადან"-ში დაბეჭდილია შემდეგი ბრძანება პოლიციის მიმართ: „ამ ბოლოს დროს ზოგიერთები ხელისმოწერას მართავენ და შემოწირულებებს კრებავენ. მოვაგონებ პოლიციას 1884 წელს 21 იანვარს გამოცემულ სავალდებულო დადგენილებას, რომლის ძალითაც შემოწირულების მოკრება ნებადაურთველათ აღკრძალუ-

ლია, და ვუბრძანებ სასტიკი ყურადღება მიაქციოს, რომ ფული არავინ მოკრიბოს. დამნაშავენი პოლიციამ პასუხის გებაში უნდა მისცეს".

— „ნოვოე ვრემიას" ატყობინებენ კიშინევიდან: „2 მაისს აქ ჩამოვიდნენ ვექილები კუპერნიკი, ტურჩანინოვი, გრუზენბერგი და სლიოზბერგი. ამ ვექილებს აზრათ აქვთ დავა აუტეხონ ხაზინას და მოსთხოვონ $2^1/_2$ მილ. მან. ამას გარდა ადგილობრივმა ვექილებმა 3000 თხოვნაზე მეტი შეიტანეს ოლქის სასამართლოში».

— ზოგიერთ საზღვარ გარეთულ გაზეთებში „ტიმსის" 18 მაისის (ახალი სტილით) ნომერში „მიუნხენერ ნეისტე ნახრისტენის" № 236, „დეილი ნიუსში და სხვებში მოყვანილი იყო ცნობები, რომელნიც ყალბ შეხედულებას ბადებენ კიშინევში მომხდარ აკლების მიზეზის შესახებ.

ეს ცნობები დამყარებულია შინაგან საქმეთა მინისტრის წერილზე, რომელიც მას გაუგზავნია ბესარაბიის გუბერნატორისთვის, აი ამ წერილის შინაარსი: „შინაგან საქმეთა მინისტრი. მინისტრის კანცელარია. 25 მარტი 1903 წ. № 341. სრულიად საიდუმლოთ.

უფ. ბესარაბიის გუბერნატორს. ჩემამდი მოაღწია ცნობებმა, რომ თქვენდამი რწმუნებულს ოლქში მზადდება დიდი არეულობები წინააღმდეგ ებრაელებისა, როგორც ადგილობრივ მცხოვრებლების უმთავრესი ექსპლუატატორებისა. რადგან ქალაქის ხალხი მეტათ აღელვებულია და მხოლოდ მარჯვე შემთხვევას ეძებს, რომ არეულობა დაიწყოს, და რადგან სრულიადაც სასურველი არაა, რომ ხალხი, რომელსაც ჯერ კიდევ არ შეხებია რევოლიუციონური პროპაგანდა, სასტიკი ზომების მიღებით მთავრობის წინააღმდეგ ავაღელვოთ, წინადადებას გაძლევთ თქვენ აღმატებულებას, ღონისძიება მიიღოთ და რაწამს უწესოებები დაიწყება, ხალხი დარიგებით დააშოშმინოთ, რომ არაფერ შემთხვევაში იარაღს არ მიმართოთ" ზემო მოყვანილი ცნობები მოგონილია. ამნაირი შინაარსის წერილი შინაგან საქმეთა მინისტრს ბესარაბიის გუბერნატორისთვის არ გაუგზავნია და არავითარი განკარგულება უწესოებათა შესახებ არ მიუცია.

— ხარკოვში არსებობს ადგილობრივი „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება„. ეს საზოგადოება ამგვარ დაწესებულებათა შორის უდიდესი და უმდიდრესია. საზოგადოებას უძრავი ქონებაც აქვს. საზოგადოებამ ასობით დააარსა წიგნთსაცავები, სკოლები; სახალხო სახლი; ბეჭდავს ყოველ წლივ მრავალ წიგნს (შარშანდლამდის 1 მილიონზე მეტი გამოუცია). ამ საზოგადოებას აქვს, სხვათა შორის. წიგნების საწყობი, სადაც იყიდება წიგნები, როგორც სასოფლო წიგნთსაცავებისა, ისე პატარა ქალაქების წიგნების მაღაზიებისათვის. საზოგადოების საქმის წარმოებას სრულიად არა აქვს კომერციული ხასიათი, ამიტომ ხალხი დიდის თანაგრძნობით ეპყრობა.

—ხელმწიფე იმპერატორმა ამ წლის 1 მაისს კეთილინება და ბრძანა, რომ ფინლიანდიის სენატორათ ნამყოფს ლეო მეხელინს მოუსპონ პენსია, რომელიც ებოძა 1890 წლის 8 ივნისს ფინლიანდიის ხაზინის თანხიდან.

— „პრავ. ვესტ."-ში დაბეჭდილია: რუსული პრესის არსებობიდან 200 წლის შესრულების გამო შინაგან საქმეთა სამინისტრომ ლიტერატორთა და მეცნიერთა საურთიერთო დამხმარებელ კასსას ნება მისცა, შემოწირულებანი შეკრიბოს მწერალთათვის რაიმე დამხმარებელ საზოგადოების დასაარსებლათ—სალიტერატორო სახლის, სანატორიისა ან სხვა რამისა. თუ შეკრებილი ფული საკმაო არ იქნება, იგი უნდა მიემატოს საპენსიო კასსას იმ პირობით კი, რომ შემოწირულებანი არავითარ შემთხვევაში მთავრობის ნებადაურთველათ არა საქმეს არ მოხმარდეს;

## საზღვარგარეთ.

**ინგლისი.** ამ დღეებში ინგლისის ლიბერალურ ფედერაციის კრებას ქონდა სკარბოროში. კრებამ ბევრი მეტათ საყურადღებო რეზოლიუცია მიიღო. აი ზოგიერთი მათგანი:

1) კონსერვატიულ პარტიის ბატონობის დროს სახელმწიფო ხარჯმა მეტის მეტათ იმატა. ამან გამოიწვია გადასახადების მომატება, რაც მძიმე ტვირთათ დააწვა ხალხის უმრავლესობას; დაირღვა ვაჭრობის თავისუფლების დიდებული პრინციპი; ინგლისის ერის კეთილდღეობა კი სწორეთ ამ პრინციპზე იყო დამყარებული. მთავრობის ამნაირი პოლიტიკა დიდათ აწუხებს და აფიქრებს ფედერაციის საბჭოს. 2) რომ სოციალური რეფორმები განხორციელებულ იქნენ და ამით ხალხის მდგომარეობა გაუმჯობესდეს, საჭიროა უფრო სამართლიანი განაწილება დეპუტატთა პალატაში ადგილებისა ყველა კლასებ შუა. და რადგან არსებული წეს-რიგი უმთავრესათ აბრკოლებს მშრომელ ხალხის წარმომადგენლების შესვლას პარლამენტში, აუცილებელ მოთხოვნილებას შეადგენს, ასეთი დაბრკოლებები თავიდან იქნეს აცილებული, საჭიროა საარჩევნო უფლება მიეცეს ყველა სრულ წლოვან მოქალაქეს, საარჩევნო ხარჯი თვითონ სახელმწიფომ იკისროს, პარლამენტის წევრებს ჯამაგირი დაენიშნოს ხაზინიდან და ერთ კაცს ერთი ხმის მეტი არ ქონდეს.

3) ლორდთა პალატის უფლება დემოკრატიულ წესებს არ შეეფერება და სახელმწიფოს მშვიდობიანობისთვის საშიშია; ამიტომ, ფედერაციის საბჭოს აზრით, მომავალმა ლიბერალურმა მთავრობამ პირველისავე შემთხვევით უნდა ისარგებლოს და მოითხოვოს, რომ ხალხის სურვილსა და ნებას, დეპუტატთა პალატაში გამოთქმულს, კანონის ძალა ქონდეს.

—სამხრეთ აფრიკაში ომიანობის დროს ხარჯების დასაფარავათ ინგლისის მთავრობამ პურზე ბაჟი დაადო. ახლა კი როცა ეს ომი გათავებულია და სახელმწიფო გასავალი განსაკუთრებულ ხარჯს არ თხოულობს, ბალფურს, პირველ მინისტრს, ვრცელი სიტყვა წარმოუთქვამს მის გაუქმების საჭიროების შესახებ. პროტექციონერებს დეპუტაციით მიუმართავთ მისთვის, მარა მინისტრს მათი თხოვნა არ მიუღია მხედველობაში. მას უთქვამს, რომ ბაჟების დაწესება მხოლოდ მთელი ხალხის თანხმობით შეიძლება და რადგან ახლა ხალხი წინააღმდეგია მისი, მთავრობაც ვალდებულია მისი სურვილი აასრულოს.

მარა სულ სხვა აზრისაა კალონიების მინისტრი ჩემბერლენი. ის ერთიანა მომხრეა პროტექციონულ სისტემისა და ფიქრობს რომ ეს აუცილებელ საჭიროებებს წარმოადგენს ინგლისის და მისი კოლონიებისათვის. გაზეთებმა აღნიშნეს სამინისტროში ასეთი განხეთქილება. და ზოგ ოპოზიციონურ გაზეთებს ძლიერ მოსწონთ ბალფურის აზრი და სიხარულს აცხადებენ სამინისტროში ატეხილ უთანხმოების გამო. კონსერვატიული და უნიონისტური გაზეთები კი ქებათა ქებას ასხამენ ჩემბერლენს და მის რეჩს დიდებულ მოვლენათ თვლიან.

**საფრანგეთი.** საფრანგეთის ოპორტიუნისტულმა მთავრობამ თავის მოღვაწეობა დიდი ამბით დაიწყო, ბევრ პროექტების განხორციელებას პირდებოდა მხარბს, მარა შემდეგ ისევ უკან დაიხია და ზოგიერთი პროექტის განხორციელებისთვის ჯერჯერობით ქვეყანა ვერ იცნო საკმაოთ მომზადებულა. ასეთი ბედი ეწია, მაგალ. საკითხს ეკლესიის სახელმწიფოსაგან განცალკევების შესახებ. მარა ახლა თვითონ ხალხს იმდენათ აუცილებელ საჭიროებათ უცვნია ასეთი რეფორმის მოხდენა, რომ ამის თაობაზე თხოვნით მიუმართავს ახლანდელ სამინისტროსთვის. თხოვნაზე 80,000 კაცს უწერია ხელი.

ამავე კითხვის შესახებ მარსელში დემონსტრაცია მოუხდენიათ. დემონსტრაციაში 5000 კაცამდე იღებდა მონაწილეობას. ხალხმა პრეფექტურის სახლის წინ გაიარა და პრეფექტებს ადრესი ჩააბარა, რომელშიაც დაბეჯითებით თხოულობს ეკლესიის სახელმწიფოსგან განცალკევებას.

რა იყო მაშ მიზეზი ამ საკითხის უარით გადაჭრისა, ოპორტუნისტობა. თუ ხალხის მოუმზადებლობა!

საფრანგეთის ორ მოქანდაკეს მოუმზადებიათ ემილ ზოლას

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძეგლის ნიმუში. სურათი ამნაირია: ზოლა დგას კლდის ნაპრალზე მამაცურათ და მზათაა მედგრათ შეებრძოლოს უსამართლობას და დაიცვას სამართლიანობა. უკან უდგას ჭეშმარიტების ქანდაკება და გზას უჩვენებს. ქვეშ, ძეგლის კვარცხლბეკზე სხვადასხვა სიმბოლიური სურათებია გამოხატული: დედა წვრილ ბავშვებით გარს შემოხვეული, მჭედელი მძიმე ჩაქუჩით ხელში და სხვა. სურათები ამოღებულია მისი უკანასკნელი რომანებიდან, „ნაყოფიერება“ და „შრომა“ ძეგლი ტიულერის ბაღში იქნება დადგმული.

**ისპანია.** ისპანიის არჩევნებში, როგორც წინეთაც ვწერდით, სრული გამარჯვება დარჩათ რესპუბლიკელ პარტიას. ცხადია რესპუბლიკანური მოძრაობა ისპანიაში დიდათ გაძლიერებულია, ხალხს შეუგნია ნამდვილი ინტერესები და მიუხედავათ კონსერვატორ-მონარხისტების განკაშისა მხარი მიუცია მის ინტერესების ნამდვილ დამცველთ პარტიისათვის. ასეთმა გარემოებებმა მეტისმეტათ ააშფოთა კონსერვატორთა ბანაკი. მეფის სასახლეში ძლიერი აღფოთებაა, ყველანი დიდ კატასტროფას მოელიან. იქ ახლა იმაზე ფიქრობენ, როგორ დაიცვან ახალგაზრდა მეფე და მისი ოჯახობა, რომელთაც სიცოცხლეს ვითომ დიდი საფრთხე მოელის. ახალგაზრდა კოროლი ალფონსი, რომელსაც პოპულიარობა არ აქვს მოპოვებული ხალხის თვალში. ფიქრობს თვითონ შამოიაროს თავის სამეფო, და იმედი აქვს რომ ეს მას ხალხის სიმპატიას მოუპოვებს. მარა დედა მისი კოროლევა წინააღმდეგია შვილის ასეთი განზრახვისა, რადგან ის ღრმათ დარწმუნებულია, რომ ისპანიის ხალხი სამუდამოთ დაკარგულია მათი დინასტიისათვის. ამბობენ კოროლევას განზრახვა აქვს, თავის ოჯახობით ავსტრია-უნგრეთს შეაფაროს თავი, მარა კონსერვატიული წრეები არ ეთანხმებიან ასეთ პესიმისტურ აზრებს და აიმედებენ კოროლს, რომ მას და მის ოჯახობს არავითარი განსაცდელი არ მოელის-

**ავსტრალია.** აპრილის დამლევ რიცხვებში ავსტრალიაში ვიკტორიას შტატში დიდი გაფიცვა დაიწყო. როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, გაფიცულან რკინის გზის მუშები და მოსამსახურენი. ამის მიზეზი ის იყო, რომ მთავრობამ აღუკრძალა მუშებს და მოსამსახურეთ „რკინის გზის მუშათა კავშირში“ მონაწილეობის მიღება, რომელიც მელბურნში გაიხსნა და ნახევრათ პოლიტიკური, ნახხერათ სამრეწველო ხასიათი ქონდა. მომუშავეთა სინდიკატმა გამოაცხადა გაფიცვა 25 აპრილს. ამ დღეს მელბურნიდან 11 საათზე გავიდა უკანასკნელი მატარებელი, ხოლო მოვიდა $12^1/_2$ საათზედ ნახევარი საათის უკან გაფიცვის გამოცხადების შემდეგ. მერე ერთი მატარებელიც არ დაძრულა ადგილიდან, მინისტრი ირვინი თუმცა ბევრს ეცადა, მარა გაფიცვის ხელის შეშლა მაინც ვერ მოახერხა. ახლა ის ცდილობს, როგორმე საქმე ისევ გამოასწოროს და მატარებლების მიმოსვლა განაახლოს, მარა ამაოთ. მან გამოიწვია მემანქანენი განცხადებით სხვა შტატებიდან. მანამ კი მოინდომა თავისუფალ მოქირავე ტეხნიკების შემწეობით აღედგინა მატარებლის სიარული, მარა გაფიცულთა დაცინვამ და შეშინებამ გასჭრა და ტეხნიკოსებმა მუშაობას თავი მიანებეს, თუმცა მათ ორკეც ჯამაგირს დაპირდენ. მცხოვრებლები მეტათ შეავიწროვა მისვლა-მოსვლის შეწყვეტამ. მთავრობას პოლიცია დარეჯათ უავს და უწესოების მოლოდინშია. გაფიცულებსე მტკიცეთ გადაწყვეტილი აქვთ არ დაუთმონ მთავრობას. სინდიკატის სეკრეტარმა განაცხადა, რომ მათ ხელში აქვთ 2 მილიონ ფრანკამდი, რაც შეძლებას მისცემის მათ თავისი გაიტანონ.

---

## მ ა დ ი ა რ ი

(ფრანსუა კოპედან)

უნგრეთის გრაფს, დიახ მდიდარს,
მოქეიფეს, უზრუნველსა,
რომელიც ჯერ არ გასულა
ოსმალებთან ბრძოლის ველსა;
ჰქონდა ერთხელ წვეულება —
ქვეშევრდომნი დაჰპატიჟა
და, რომ გითხრათ, თვის სიუხვით
თითქმის ყველა გააგიჟა.
მდიდარ სუფრას აზარფეშა
გარს უვლიდა კულასთანა,
ბულბულების ენის შემწვარს
ზედ ხოხობი დაათალა!
შეზარხოშდა თვითონ გრაფიც,

ტანს ჩაიცვა ძოწეული,
ბრილიანტი დააყარა
ძაფით ოდნავ მოხვეული,
რომ ცეკვაში ძირს დაცვივდეს
ქვები, სტუმართ წამოკრიფონ.
იქ ხო სვეს და ინადიმეს,
შინაც რითმე იქეიფონ.
მართლაც გრაფი თავმომწონეთ
ცეკვავს, ქვები ძირსა ცვივა,
და სტუმრებმა წამოკრიფეს
ვიდრე სულ არ დაილივა.
შეისრულა მან წადილი,
აწ აცილებს სტუმრებს ბჭემდ.,
ამ დროს გრაფმა ბერიკაცი
დაინახა იქ კარებში.
ატუზულა თმაჭაღარა,
გულზე ხელებ დაკრეფილი,
დაკონკილი ქალამნებით,
მშიერი და ფერმიხდილი.
მადიარი იყო იგი
ნამდვილ გრძნობითი სულით, გულით,
თუმცა, ვინ იცის, ეს ღატაკი
არ გამძღარა იქნებ პურით.
გრაფს ღიმილი მოუვიდა,
უთხრა: ეხლა გვიან არი,
რათ არ კრეფდი ალმასებსა
არ მოგწონდა საჩუქარი?!
მადიარმა მდიდარ ბატონს
დაუშვირა დაბლა ხელი
და მიუგო: მოსახრელათ
არ ჩვეულა ჩემი წელი!
მართალია, ალმასებმა
რომ სტუმრები გაგიხარა,
მაგრამ მეც ხო ასაკრეფათ
უნდა ქედი მომეხარა!?

ი. ევდოშვილი.

---

## ჟურნალ-გაზეთებიდან.

„ვესტნ. ევრ.“-ში დაბეჭდილია ნ. რიაზანცევის საყურადღებო წერილი სასულიერო სასწავლებლების შესახებ. წერილის თავში ავტორი აღნიშნავს იმ არასასურველ პირობებს, რომელშიაც მასწავლებლები არიან ჩაყენებულნი. სემინარიებსა და სასწავლებლებში მასწავლებელთა ორი ტიპია: ერთი ასწავლის იმას, რაც თვითონ არა სჯერა, და ეს გარემოება არ ეპარება მოსწავლეებს: მეორე ურიგდება გარემოებას და დღეს ერთნაირათ იქცევა, ხვალ მეორენაირათ, იმის და მიხედვით, თუ ქარი საიდან უბერავს. შემდეგ ავტორი

ცხება აღზრდის საქმეს სემინარიებსა და სასწავლებლებში.

სასულიერო სასწავლებლების მთავრობამ სრულიად დაამახინჯა ქრისტეს მიერ აღიარებული თავმდაბლობის პრინციპი და თავმდაბლობის ნაცვლათ მოსწავლეებს პირმოთნეობასა და თავის თავის დამცირებას უნერგავს. ამის დასამტკიცებლათ იგი ძალიანა სცდილობს, რომ მოსწავლენი მალ-მალ მუხლს იდრეკდენ ეკკლესიაში, თვალებს ზე აპყრობდენ და სხვა. ყველა ამან ფარისევლობა გაამეფა. სემინარიებისა და სასწავლებლების ბნელ და მოსაწყენ კარიდორებში გავლის დროს ხშირათ შეხვდებით კედელზე მიკრულ და სათნოებით თვალებ აპყრობილ შთამომავალს უწინდელ მოუსვენარ და სიცოცხლით სავსე „ბურსაკებისა“. ეს ყმაწვილნი სათნოებით აღვსილნი მხოლოდ უფროსის წინაშე არიან. სემინარიისა და სასწავლებლის რეჟიმი ხასიათს უფუჭებს მოსწავლეს, თვითმოქმედებისა და ინიციატორის უნარს უკარგავს და სამარცხვინო კომპრომისებს აჩვევს.

ავტორი ყურადღებას აქცევს იმასაც, რომ სემინარიელებს ხშირათ სხვა წიგნებს, სასულიერო შინაარსის გარდა, არ აკითხებენ.

ტყუილათ უკრძალავენ სემინარიელებს წიგნების კითხვას. სულ ერთია, ამ აკრძალვას ნაყოფი არ მოაქვს: სემინარიელნი მაინც შოულობენ წიგნებს და გატაცებით კითხულობენ.

---

სახელმწიფოს საბჭოს გადაეცა განსახილველათ პროექტი ქარხნებში და სამთო მრეწველობაში მუშათა სტაროსტების შესახებ. სტაროსტებს ირჩევენ მუშები ქარხნის მართველთა და მათ შორის მომხდარ დავის გამოსარკვევათ, ამის შესახებ რუსულ უწყებებში შემდეგი შენიშვნებია:

„დღეს მუშებს უფლება არა აქვთ, გამოუცხადონ ქარხნის პატრონს თავისი საერთო მოთხოვნილებანი. ამგვარ გამოცხადებას მუშათა გაფიცვათ მიიჩნევენ და მონაწილეთ სასჯელი მოელით. მუშათა წარმომადგენელთ, რომელთაც ამხანაგები ქარხნის გამგეობასთან გზავნიან მოსალაპარკებლათ, ადმინისტრაცია ისე უყურებს, როგორც მუშათა მოძრაობის მეთაურებს და დაუყოვნებლივ ატუსაღებს. მუშათა წარმომადგენლების დატუსაღება არეულობას გამოიწვევს ხოლმე, რომელიც ხშირათ სისხლის ღვრით თავდება. მუშებს ეშინიათ, ერიდებიან თავისი ამხანაგების ხიფათში ჩაგდებას და ამიტომ ერთათ იკრიბებიან და საერთოთ უცხადებენ ქარხნის გამგეობას თავის მოთხოვნილებას. დიდი ხმაურობა ასტყდება ხოლმე, ათასი სხვადასხვა ხმა ისმის, ქარხნის გამგეობას არ შეუძლია ნათლათ გამოარკვიოს ამ ხმაურობაში მუშების სურვილი და მოთხოვნილება: მათ ერთმანეთის არაფერი ესმისთ, მრავალგვარი უკმაყოფილება იბადება ამ ნიადაგზე და შედეგად მუშების გაფიცვა მოყვება ხოლმე.

ყველა ამ უსიამოვნებათა თავიდან აცილება ადვილია, ქარხნის გამგეობას საქმე რომ ქონდეს მუშების წარმომადგენლებთან, რომელნიც დამშვიდებულათ გამოუცხადებენ მათ მუშათა საერთო მოთხოვნილებას და განიხილავენ მათთან ერთათ

ევროპაში მუშებს სრული უფლება აქვთ გაფიცვის, მუშათა კავშირის შედგენისა და დეპუტატების არჩევისა ქარხნის პატრონებთან მოსალაპარაკებლათ; რუსეთში კი მუშებს არა აქვთ ამგვარი უფლებანი და ამიტომ აქ მუშათა დეპუტატების მოქმედებას ბევრად უფრო მეტი მნიშვნელობა ექნება, ვიდრე დღეს ევროპაში აქვს.

მუშათა დეპუტატების შემოღება ალაგმავს ქარხნების პატრონთა თვითნებობას: ისე ადვილათ ვეღარ მოიშორებენ იმათ თავიდან, როგორც დღეს განცალკევებულ მომჩივან მუშებს იშორებენ.

საჭიროა მხოლოდ ახალ პროექტში გამოთქმულ განზრახვის განსახორციელებლათ ისე მოეწყოს „სტაროსტების“ ამორჩევა, ისეთ პირობებში იქნეს ჩაყენებული მათი მოქმედება, რომ დეპუტატები მუშათა ნამდვილ ინტერესების დამცველნი იყო. ამისათვის საჭიროა, არჩევანის თავისუფლების უზრუნველყოფა. საჭიროა აგრეთვე, რომ დეპუტატების, მუშათა საერთო ინტერესების წარმომადგენელთა, მოქმედება არ იქნეს შეზღუდული. ახალი პროექტით კი საგუბერნიო მთავრობას ნება ეძლევა გადააყენოს სამსახურიდან ის „სტაროსტები“, რომელნიც „თავის დანიშნულებას ვერ აასრულებენ“. ამ სიტყვებში გამოთქმული აზრი ძნელი გასაგებია, და თუ სწორეთ არ გამოირკვა, ცხადათ თუ არ იქნა იგი განსაზღვრული და განმარტებული, საქარხნო „სტაროსტების“ ინსტიტუტის შემოღებას არაფერი პრაქტიკული მნიშვნელობა არ ექნება.

---

ცნობილი კრიმინალისტი სენატორი ნაბოკოვი სწერს გაზეთ „ნოვოსტ“-ში:

როდესაც კითხულობ ცნობებს კიშინევის აკლების შესახებ და მათ შორის შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებასაც, პირველ ყოვლისა გაკვირვებს ის გარემოება, რომ ასეთი აკლება-ჟლეტა ხალხის შესაძლებელი ყოფილა დიდ ქალაქში, სადაც ადმინისტრაციაც და პოლიციაც ძლიერია და სადაც დიდი ჯარი სდგას. გაკვირვება ორკეცდება, როდესაც კითხულობ, რომ აკლების ამბავი ყველას წინდაწინვე სცოდნია. ხოლო განცვიფრება უმაღლეს წერტილამდე აღწევს, როდესაც ეცნობი ფაქტებს, როდესაც კითხულობ იმის აღწერას, თუ როგორ თავისუფლათ დათარეშობდენ ორი დღის განმავლობაში ბრბოები და ყველას თვალ-წინ აწიოკებდენ საბრალო ებრაელებს, სრულიად გაოცნიერია ამიტომ ის გარემოება, რომ პრესაში აღიძრა საკითხი კიშინევის პოლიციისა და ადმინისტრაციის წარმომადგენელთა სამართალში მიცემის შესახებ.

არ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, რომ კიშინევის ამბების შემდეგ ებრაელების მოძულე გაზეთები კიდევ იკადრებდენ აწიოკებულ ხალხის წინაამდეგ გალაშქრებას. მაგრამ ეს საზიზღრობაც შესაძლებელი ყოფილა. აღმოჩნდა, რომ პრესის რამდენიმე წარმომადგენელი (საბედნიეროთ, ცოტა) სრული თანამგრძნობი ყოფილა იმ ბრბოსი, რომელმაც 6 და 7 აპრილს ასეთი საშინელება ჩაიდინა კიშინევში. აღმოჩნდა ისეთი გარყვნილი კალამი, რომელმაც „ნოვოსტ“-ში გამოქვეყნებულ ცნობების გამო გაბედა და შემდეგი საზიზღრობა დასწერა: „ებრაელები ყოველთვის ასეთები არიან: ჯერ საქმეს გააფუჭებენ და მერე თვითონვე დაიწყებენ ყვირილს და საზოგადოებას დახმარებას სთხოვენ“.

ამავე კალამმა შემდეგ დასწერა: „საშინელი ტრაგედია გათავდა. ახლა ის დაგვრჩენია მხოლოდ, რომ ვისურვოთ—ებრაელებს ტყუილათ არ ჩაუაროს გაკვეთილმა და აგრეთვე ვისურვოთ, რომ ებრაელების გამო არ გაუბედურდენ ის ქრისტიანები, რომელთაც ბედმა არგუნა ებრაელთა შორის ცხოვრება“. ბოლოს ესევე კალამი სწერს: „თუ ებრაელთ სურთ თავიდან აიცდინონ შემდეგში ასეთი აკლება, კეთილსინდისიერი უნდა იყონ

იმ ხალხისა, რომელთანაც ცხოვრობენ; უნდა დაგვიმტკიცონ, რომ მათ ჩვენსავით უყვართ რუსეთი და მზათ არიან სისხლი დაღვარონ მის საკეთილდღეოთ“.

ჩვენ არ შევაჩერებთ მკითხველის ყურადღებას ასეთს საზიზღარ აზრებზე, რომ მათი შემწეობით არ მტკიცდებოდეს გაზეთების ბრალდება: კიშინევში მომხდარ უბედურებაში დამნაშავენი არიან ანტისემიტური გაზეთები, რომელნიც სისტემატიურათ სდევნიდენ ამ ერს და ქრისტიანთ აქეზებდენ. უბედურება ის არის, რომ შესაძლებელი ყოფილა ასეთი აზრის გავრცელება, ვითომც ებრაელთ ჯერ არ დაუმსახურებია სახელმწიფოსაგან დაცვა და აწი უნდა დაიმსახურონო! თუ ებრაელი მოკლულ იქნა, თურმე პირველათ ის ქრისტიანი უნდა შეგვეცოდოს, რომელსაც ებრაელი შემოაკვდა. ამაზე მორს საზიზღრობა ვეღარ წავა.

შემდეგ ნაზოკოვი ეხება იმ მიზეზებს, რომელთაც გამოიწვიეს კიშინევში ებრაელთა აკლება. სხვათა შორის, პატივცემული ავტორი სწერს:

კულტურით დაბალ საფეხურზე მდგომ ხალხს კარგა ხანია უქადაგებენ, რომ ებრაელი ადამიანი კი არა, არამედ ყოველ ღირსებას და უფლებას მოკლებული „ჟიდია“. ამას ის შედეგი მოყვა, რომ რუსის გლეხი გულწრფელათ დარწმუნებულია, „ჟიდის“ გულისათვის პასუხისგება არ არსებობსო. ასეთი აზრი, ასეთი შეხედულება ებრაელებზე შედეგია იმ შევიწროვებისა, რომელსაც კანონი არგუნებს ებრაელთ. მათ ყოველივე უფლება წავართვით, დავამწყვდიეთ ერთ ადგას, რომელსაც ზიზღით „ებრაელთა საცხოვრებელ ხერტას“ ვუწოდებთ, და რაღა საკვირველია, რომ ხალხიც აღარა სთვლის მათ ადამიანებათ.

---

## გაზაფხული.

შეიმოსა გაზაფხული
საამურათ სანეტაროთ
ნამს აპკურებს ტანჯულ მხარეს
უკვდავების მკურნავ წყაროთ!

—

ზურმუხტ ფერათ აბიბინდა
მთა და ბარი, მინდორ-ველი
და ბუჩქთ შორის ნაზი ია
თავდახრილი, საყვარელი.

—

მთელ მიდამოს ამკობს, ატკბობს
მშვენიერი სურნელებით
და შაშვიც კი ბუნებისგან
მოხიბლულა, ალტაცებით

—

სტვენს გაკივის უდარდელათ,
უცხო სუნით სჩანს დამტკარა,
სუროს ტოტზე თავმომწონეთ
ამაყურათ გადმომჯდარა.

—

სალამს აძლევს მას ნიავი
მოკრძალებით შორიდანა.
ვიშ რა ტურფათ გალამაზდა
მომხიბლავი ეს ქვეყანა!

—

მაგრამ ნახე იადონი
გაზაფხულის მოტრფიალე,
ციურ ჰანგით მომღერალი,
ხმა ნარნარი, მოწკრიალე,
შორს გამდგარა, მას ვერ ატკბობს
მშვენიერი არემარე.
მასში ისმის მხოლოდ კვნესა
ნაღვლიანი, მგლოვიარე.

დარია ხუნდაძისა.

---

## სამშობლოს ცაზე

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ რაც ერთ ქართულ გაზეთში თავი იჩინა ერთგვარმა მეცნიერებამ. ამ მეცნიერებას გულთამხილაობა ქვია, მარა გულთამხილაობა მკვდრებისა და არა ცოცხლებისა. მისის მეოხებით თქვენ შეგიძლიანთ შეიტყოთ, რასა ფიქრობს ესა და ეს მიცვალებული, რა „სურვილები და განზრახვანია“ დამარხული მიწაში, როგორ უცემს საქვეყნო საქმეთათვის მიცვალებულს გული და სხვა.

საკვირველი ის არის, რომ სიცოცხლეში გვამს არა ემჩნევა-რა, სიცოცხლეში მკვდარნი არიან ეს „საქებური სურვილები და განზრახვანი“ და უცებ სიკვდილის შემდეგ აფეთქდებიან ხოლმე მკერდ ქვეშ და აი ამას გვატყობინებს მოწინავე წერილით მკვდრების გულთამხილავი გაზეთი. მაშ ვუსურვოთ მას გამარჯვება და წარმატება ამ ახალი გზით, რაც შეეხება მადლობას, ამას თვით „დიდი სურვილების“ მიცვალებულნი შემოუთვლიან.

* * *

როგორც შემოუთვლიან მადლობას ჩვენი ცოცხალი სტუდენტები მათის მუნდირის დამცველ სტუდენტებს ნ-ს და ლ-ს.-ეს ორი დარაჯი პარტნოვის მიერ ხელმქნილი წმიდათა-წმიდის აღმოჩენილან ქ. ბაქოში: როგორც გადმოგვცემს გაზ. „ბაკინ. იზვ.“ 8 მაისს მიხაილოვის ბაღში ზემოხსენებულ ორს სტუდენტს მესამე სტუდენტისთვის ჩაუვლიათ ყანყრატოში ხელი და წაუთრევიათ პოლიციაში. აღმოჩენილა რომ სტუდენტი ბ. მართლაც სარჩობელას ღირსი ყოფილა,—მასა სცმია ღარიბულათ, რაც თურმე „порочитъ и грязнитъ честь студенчества“; მუნდირის პატიოსნების დამცველ რაინდებს, უთხოვნიათ პოლიციისთვის გაეხადნათ მისთვის ძველი მუნდირი, რომ აეცდინათ საზოგადოთ სტუდენტთა ღირსებისთვის სირცხვილი და შეურაცხყოფა. სწორეთ ნახევარი საათის წინეთ ერთს ამ რაინდთაგანს მიეწია საცემლათ იმავე ბაღში ვიღაც თათარზე. ალბათ თათარსაც ღარიბულათ ეცვა. მაგრამ ვის ღირსებას იცავდა ამ შემთხვევაში ბ-ნი სტუდენტი? მახმადისას?

ნეტა რომელ ზოოლოგიურ ტიპს ეკუთვნიან ეს მუნდიროსანნი?

* * *

ძნელი გამოსაცნობია აგრეთვე რომელმა ჯოჯოხეთმა ამოაგდო ცოდვილ დედამიწაზე ის ადამიანი, რომელიც არა ზოგავს თვით ყოვლად უმწეო ბავშვსაც კი: ამისთანა ბელზებელი აღმოჩენილა ქ. ბათუმში. ვინმე ა. გაბუნიას მართებია ნ. გაბუნიას უსამართლო ვალი 50 მანეთი. მას თვისი რწმუნებული შელია გაუგზავნია მოვალის სახლის ასაწერათ. და აი ამ უკანასკნელს აუწერნია ა. გაბუნიას ბავშვებისთვის დამზადებული რამდენიმე კვერცხიც კი. მტერ შესეულ ბავშვებს ტირილი დაუწყიათ და გულდამწვარ მამას გულქვა ადამიანისთვის უსრულია ლევორველი. გავიხსენოთ ისიც, რომ ზემოხსენებული ვალი სრულებით უსამართლოთ მართებია ა. გაბუნიას და გადაუხდია კიდეც ერთხელ.

მაგრამ სტუდენტები თუ მუნდირს იცავდენ, შელია ალ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზათ იცავდა კანონს და სურდა მოეყვანა აღსრულებაში ის.

რა საქმე აქვს კანონს ბავშვების ცრემლებთან?

* * *

როგორც არა აქვს „ივერიას“ არავითარი საქმე კეთილგონიერებასთან, ოღონდ ენამ კი ილაქლაქოს.

წარსულ კვირაში ის გაუწყრა ბატონ იუჟინს, რადგან ჩვენი მსახიობი ალექსიევ-მესხიევი გაჭირვებაშია საზღვარგარეთო.

რომ ალექსიევ-მესხიევი და ბევრი სხვა ქართველი მსახიობი გაჭირვებაშია, ამაში არავითარი დანაშაული არ მიუძღვის იუჟინს, რომ ჩვენში იუჟინის პატივისცემა არ უარყოფს ჩვენ მსახიობთა პატივისცემასაც, ესეც ნათელია ყოველი ჭკვათა მყოფელისთვის, რომ ჩვენ, ქართველებს, არავითარი თანხა არ გადაგვიცია იუჟინისთვის და მით არ დაგვიკლია შემწეობა ალექსიევ-მესხიევისთვის, ესეც აშკარაა ყოველი თვალ-ხილულისთვის, მაგრამ „ივერია“ მაინც გაუწყრა იუჟინს. რათა?

კითხეთ ისევ იმავ დიდი სურვილების მიცვალებულის გულთამხილავ გაზეთს.

* * *

ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადო კრებაზე 14 მაისს სხვათა შორის წაკითხულ იქმნა თავად ნაკაშიძის და ბებურიშვილის განცხადება იმის შესახებ, რომ შეცვლილ იქნას საადგილ-მამულო წესდების მე-130 მუხლი, სადაც აკრძალულია შეკავებულ ადგილში ჩასულ სხვის საქონლის მოკვლა. თხოულობენ აღძრულ - იქმნას შუამდგომლობა, რომ ნება მიეცეს საზოგადოებას ამ შემთხვევაში საქონლის მოკვლისა (რით—კეტით თუ თოფებით განცხადების ავტორებს არ აქვთ აღნიშნული). წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენი დაცემული მეურნეობა ფეხს ვერ მოიკიდებს (აი თურმე მიზეზი მეურნეობის დაცემისა!) თავად კიტა აბაშიძეს უადგილოთ მიაჩნდა ამ საკითხის შესახებ მსჯელობა, რადგან განცხადება დეპუტატთა საკრებულოს ჯერ არ გაუსინჯავს ე. ი. თავ. კიტა აბაშიძე პრინციპიალურათ არ არის წინააღმდეგი ამგვარი განცხადებისა, არამედ განცხადება უკანონო გზით ყოფილა მათ წინ წარდგენილა. მაშასადამე ეს განცხადებაც იმ თავხედ საქონელს გავს, რომელიც უკანონოთ წარსდგება ღობეს იქით სხვის მამულში. სიკვდილის ღირსია თუ არა განცხადება, თავადო ნაკაშიძე და თავადო ბებურიშვილო? ს. დ. ჯაფარ. აზრით, საჭიროა შუამდგომლობა აღიძრას, რომ დაკანონდეს ის, რაც ეხლა ხდება უკანონოთ—მსხვილფეხა პირუტყვის მოკვლის ნება კი არ უნდა მოგვცეს—ნება უნდა გვქონდეს ღორი, თხა, ბატი, ქათამი და სხვ. ე. ი. ცხვარი თხა, ინდოური. იხვი... ყველა ამას მშვენივრათ ამზადებენ წვნითაც და მშრალათაც იმერეთში; ყველა ესენი დამნაშავენი ყოფილან მათის მეურნეობის დაცემაში.

მაშ სიკვდილი! სიკვდილი მოღალატე ბატებს!...

* * *

„თფილისის ფურც.“ დაბეჭდილია განცხადება:

*11 мая* **пропалъ оселъ** сѣрой масти, большого роста, персидской породы, просятъ доставить за приличное вознагражденіе въ Крцанисы (6 участокъ), по Цинанаурской дорогѣ, садъ № 11.

პატრონს ეჭვი აქვს ხომ არავინ მოკლა უბედური პირუტყვი კანონიერათ.

რიგოლეტო.

P. S. ზოგიერთი გარემოება, რომელიც ჩემთვის გამოირკვა ბათუმიდან ჩამოსულ სანდო პირებთან მოლაპარაკების შემდეგ მაიძულებს უარვყო წარსული კვირის ფელეტონში გამოთქმული კარლო ჩხეიძის დახასიათება. ამგვარ შეცდომაში შემიყვანეს მე ბათუმიდა მოწერილ კორესპონდენციებმა და სიამოვნებით აღვნიშნავ ახლა მათზე დამყარებულ კიცხვის უსაფუძვლობას. *)

---

# ძიძა

(მოთხრობა გურიის ცხოვრებიდან).

## II.

(გაგრძელება) *).

მეორე დღეს გათენდა თუ არა, კოწია კარანაძისას ყველანი დიდ ფაცა-ფუცში იყვენ. ყველაზე მეტს ფუსფუსებდა მზეხა, რომელმაც გაიტანა თავისი, დღ დღეს ქრისტინე ბათომში უნდა წასულიყო ძიძათ ერთი წლის ვადით. გუშინ რაკი მიხვდა ქრისტინე, რომ ხარების გაყიდვა შეუძლებელი იყო, და ქმრის და დედამთილის სურვილი შეურყეველი, ის როგორღაც ზნეობრივათ მოდუნდა და დაემორჩილა იმათ. ტირილს თავი დაანება და აღარაფერზე ხმას არ იღებდა.

მრთელი საღამო და არც მთელი ღამე ბავშვი ხელიდან აღარ მოუშორებია, კოცნიდა, უსიტყვოთ იხუტებდა მას გულში და ხშირათ ისმოდა მისი გულსაკლავი ამოოხვრა. ის არ ეკითხებოდა დედამთილს, ან როგორ მოუვლის უიმისოთ ბავშს, ან ვის უტოვებს ამ ერთი დღით, თითონაც რომ მოდის ბათომში. ის გრძნობდა რაღაც გამოურკვეველ შიშს მომავლისას: მან თითონაც არ იცოდა, რა აშინებდა,—რაღაც დააწვა მძიმე ლოდივით მის შემკრთალ გულს და გამოაშტერა. კოწიაც გაჩუმებული, თავჩაღუნული დადიოდა; მას რცხვენოდა, რომ გუშინ ქრისტინეს სიტყვებით „ხარები გავყიდოთო“ და მისი ქვითინით მოთმინებიდან გამოსულმა დაუყვირა ცოლს „წახვალ აბა რას იზამ, ტყულაი ნუ ტირი, თავს ვერ შემაცოდებო,“ და თუმცა დარწმუნებული იყო თავის სიმართლეში, სწყინდა და რცხვენოდა იმისთვის, რომ აწყენია ქრისტინეს წასვლის ხანს და რომ სხვანაირათ ვერ მოახერხა საქმის მოგვარება.

მარტო მზეხა იყო ყოჩაღათ და მხიარულათ. ის გუშინვე წავიდა პეტრიასთან და შეიტყო, რომ რამდენიმე თვის ჯამაგირის მიღება შეიძლებოდა წინდაწინ; თითონ კი, რადგანაც ეშინოდა ქრისტინემ თავი არ შეაბრალოს კოწიას და არ დაბრუნდეს შინო, გადასწყვიტა წაყოლოდა.

დღესაც ყველაზე ადრე ის ადგა, გაალვიძა შვილი და ახალ მიძინებული რძალი და შეუდგენ მზადებას. ბავშვთან ერთი დღით მეზობლის ქალი დატოვეს; თითონ მზეხა და კოწია ლამის მატარებლით უნდა დაბრუნებულიყვენ შინ.

დილა გათენდა მზიანი და თბილი.

— ღმერთი მოგვეხმარა, კაი დარი კია,—თქვა მზეხამ მხიარულათ.—აბა ჩეიცვი მალე, ქრისტინე, თვარა მაშინას ველარ მივასწრობთ.

ქრისტინემ ამოიღო ტახტის ბოლოში დადგმულ წითელ ნამზითვ სეფეთიდან ფრთხილათ დაკეცილი გაზაფხულის ფოთოლივით მწვანე შალის წენიანი კაბა. ჩვეულებრივათ, თუმცა ახლა ამაზე სრულიადაც არ ფიქრობდა, ფრთხილათ გაშალა და ჩაიცვა. ეს კაბა მისი ჯვრის წერის ერთათერთი

---

*) ჩვენი მხრით, ჩვენც ვწუხვართ, რომ ამგვარ შეცდომას ადგილი ქონდა ჩვენი გაზეთის ფურცლებზე. რედაქცია.

*) იხ. „კვალი“ № 19.

საგარეო კაბა იყო და ქრისტინე ერთობ უფრთხილდებოდა მას, მეორე ჩამოიღო კედელზე ჩამოკიდული "პოლსაპოჟკები" და ჩაიცვა; თავზე თავისი მოქსოვილი აბრეშუმის „სამყურა" ყურით წინ დაიხურა და ისევ აიყვანა ბავშვი ხელში კოწია და მზეხაც იცვამდენ, თანაც მზეხა სხაპა-სხუპით თავდარიგს აძლევდა მეზობელს ბავშვისსაც და ოჯახის შესახებ.

— აბა, წევიდეთ ახლა,—და მზეხა პირველი გამოვიდა გარეთ. ქრისტინემ მისცა ბავშვი მეზობელს და თვითონ გამოვიდა, მაგრამ კარებთან გაჩერდა, მოტრიალდა და რამდენიმე წამი შესცქეროდა შვილს; მერმე რაღაც უცნაურათ გააჟრჟოლა, უიმედოთ გაასავსავა ხელები და საჩქაროთ გასწრა ჭიშკრისკენ. დედამთილი და ქმარი დაედევენ მას ფეხ დაფეხ. გზაში მათ დაუხვდა პეტრია და ყველანი გაუდგენ რკინის გზის სადგურისაკენ.

დილის თერთმეტი საათი იყო, როცა ისინი ჩავიდენ ბათომში. სადგურიდან ისინი წაიყვანა პეტრიამ დერიანის ბინაზე და მეორე სართულში სამზარეულოში შეუძღვა. იქ მათ ალერსიანათ მიეგება მზარეული ქალი, დაავინა ყველანი და დაუწყო პეტრიას ამბების გამოკითხვა.

ქრისტინეს სტკიოდა და აწუხებდა ძუძუ. კაბა გულზე მთლად დასველებული ქონდა და კალთაზე კი შავ ზოლებათ ჩამოდიოდა სისველე. ის წამ და უწუმ იკიდებდა მოუთმენელად ორივე ხელებს გულზე, ისრესდა გარედან, მაგრამ ეტყობოდა, არაფერს შველოდა. ბოლოს მიუბრუნდა ის პეტრიას:

— პეტრე, სადაა ბაღანაი მომკლა რძემ. რაცხა მიშველე, შენი ჭირიმე!

— ქალბატონი ახლა ადგა, ტასია გამოვა და შევატყობინებ, მოითმინე ცოტა,—უთხრა ალერსიანათ მზარეულმა ქალმა; მივიდა მასთან ახლოს და თანაგრძნობით კითხა:—ბავშვის დატოვება ძალიან გაწუხებს! ნუ გეშინია, ქალბატონი კაი გულისაა და ცხოვრება აქ არ გაგიძნელდება, ბავშსაც ჩამოგაყვანინებენ.

— ბაღანაი მომიყვანე, შენი ჭირიმე და ძუძუს ვაჭუმ, თვარა აღარ ვარ ქალი, შეეხვეწა ქრისტინე მასაც.

— ბაღანაის გამოყვანა აქ არ შეიძლება, მზის უნახავსავით ზრდიან. ერთი დიდი ოთახი აქვს ცალკე მიჩენილი მას და ძიძას და...

ამ დროს სამზარეულოში კოპწიათ შემოვიდა თეთ რწინსაფრიანი შუა ტანის ახალგაზრდა ქალიშვილი.

— ფუ, ვინ არიან ესენი?—კითხა მან რუსულათ მზარეულ ქალს.

— ვინ არიან და—ძიძა მოვიდა, წადი, მოახსენე ქალბატონს,—მიუგო მას მზარეულმა ქალმა ქართულათ.

— შენ ხარ ძიძა? მიუბრუნდა ტასია მზეხას.—მოსამსახურე ქალიშვილს ტასია ერქვა.

— არა, ნენავ, აია,—მიუთითა მზეხამ ქრისტინესკენ,—მე რეიზა ვიქნები ამხელა ქალი,—მოწიწებით მიუგო მან.

— მერე რათომ თირის, მჭვარტლიანი სახლის მოცილება ცქინობს თუ?

— რუსი ყოფილა აი უბედური, რავა უჭირს ქართული ლაპარაკი,—თქვა ქრისტინემ.

— რუსი კი არა, ესეც გურულია,—მიუგო მას მზარეულმა ქალმა, მაგრამ ქართულის ლაპარაკს აღარ კადრულობს.

— მე ქართული დამავიწყდა სულ, ხა-ხა, ხა!—გადაიხარხარა მან.

— ფუი, არც კი გრცხვენია მაგისთვის, წადი მოახსენე ქალბატონს ძიძა მოვიდა თქო.—გაჯავრდა მზარეული ქალი.

— ცოტას მოიცდიან, არა უშავს რა, ქალბატონი პირს იბანს ახლა, მიუგო მან უდარდელათ და ისევ ისე კოხტათ, ბით გამოვიდა სამზარეულოდან.

— ვაი, ქრისტინე, შენც არ დაგავიწყდეს ქართული. გაეხუმრა ცოლს კოწია, მაგრამ შეხედა თუ არა მის გაწითლებულ, შეწუხებულ სახეს და მოუსვენარ თვალებს, მაშინვე ჩაჩუმდა და ცოტა არ იყოს წყრომით მიიხედა დედისკენ, რომ ამისთანა სატანჯველში ჩააგდებინა ქალი. ქრისტინე რომ იტანჯებოდა ამას ცხადათ ხედავდა კოწია.

მზეხა ერთობ განცვიფრებული იყო ყველაფერი ნახულით: მან პირველათ ნახა ამოდენა აუარებელი ხალხი, სახლები, ფაიტონები. ის ვერ ამჩნევდა ვერც ქრისტინეს ტანჯვას და ვერც კოწიას წყრომას, გაფაციცებით მხმარულათ ადევნედა თვალს მზარეულ ქალს, რომელიც ამ დროს ასხამდა ჩაის

მზარეულმა ქალმა დაასხა ჭიქებში ჩაი და დაუდგა სტუმრებს წინ სკამზე, მერმე მოიტანა შაქარი და თეთრი პური. თანაც ალერსიანათ ელაპარაკებოდა ქრისტინეს. ეტყობოდა თანაუგრძნობდა, ეცოდებოდა ის და უნდოდა როგორმე შეემსუბუქებინა მისი მდგომარეობა.

— ჭამე, შვილო, ჭამე, ჯერ კიდევ კას ხანს მოგინდება ცდა, თუ ექიმმა არ გაგშინჯა, ისე ხომ არ იქნება. ამ ორ თვეში ოთხი ძიძა გამოიცვალეს. არც ერთმა არ ივარგა... ქრისტინემ შეშინებული დააჭყიტა თვალები.

— ნამდვილათ რძეს გამოაწველიებს და ნახავს გემოზე,—უთხრა მას მზეხამ და მადიანათ აიღო პური ხელში. ქრისტინემ ოდნავ ამოიოხრა და მაინც აიღო პური, მაგრამ მაშინვე დადვა უკან, რადგანაც ისევ ტკივილი იგრძნო და წაივლო გულზე ორივე ხელი.

შემოვიდა ტასია და დაუძახა ქრისტინეს ოთახებში:

— აბა, წამოდი, ქალბატონი გეძახის,—უთხრა მან.

ქრისტინესთან ადგენ მზეხაც და კოწიაც წასაყოლათ, მაგრამ ტასიამ მაშინვე გააჩერა ისინი.

— არა, თქვენ არ ხართ საჭირო... კალოშები გეიხადე, მიუბრუნდა ის ქრისტინეს და გაიხარხარა,—ხა-ხა-ხა, ტალახის კალოშები ჰქონია.

ქრისტინე ადგა, ლაიხედა ფეხებზე და გაწითლდა.

— ფუ, უსირცხვილო, თავი დაანებე უთავბოლო როშვას, შეუტია მას მზარეულმა, მაგრამ ტასია მაინც განაგრძობდა ხარხარს.

— არა, კაბა, კაბა რა ფერის აცვია და თმაი რომ ოთხად დაუწნავს, ხედავ! ამბობდა ის რუსულათ.

— არა, ისე უნდა, შენ რომ დაგიკოსებია თავზე კინკრუხელასავით? კიდევ უფრო შეუტია მას მზარეულმა.

ქრისტინეს, მზეხას და კოწიას არ ესმოდა იმათი ლაპარაკი, მაგრამ ატყობდენ, რომ მზარეულს არ მოსწონდა ტასიას საქციელი, და ცუდი განწყობილება ქონდათ ერთმანეთში.

ქრისტინე გრძნობდა, რომ მაზე ლაპარაკობდენ და რცხვენოდა რიღასიც და შემკრთალი გაყვა ტასიას უკან. ისინი შევიდენ სასადილო ოთ ხში. ქრისტინე შემკრთალი უხერხულათ გაჩერდა კარებთან და ორივე ხელები დაიწყო ჯვარედინათ მუცელზე.

შუა ოთახში დიდ მაგიდასთან, რომელზედაც ელაგა საჭმელები და ჩაის მოწყობილება, იდგა მაღალი, ლამაზი ქერა ქალი და რაღაცას მხიარულათ ელაპარაკებოდა იქვე მჯდომ წითელ საყელოიან „ჩინებიან" კაცს. შევიდა თუ არა ქრისტინე, ქალმა მაშინვე მოაბრუნა მისკენ მოცინარე სახე, ტანზე მას არშიებ შემოვლებული გრძელ კუდიანი და გრძელ,

განიერ ფრიალა სახელოებიანი თეთრი შალის კაბა ეცვა. ტიტველა მკლავებზე ბლომათ ქონდა ოქროს ბრასლეტები და თითებზე უბრჭყვიალებდა ბეჭდები.

— შენ ხარ ძიძა?—დაეკითხა ის ქრისტინეს,—მოდი აქეთ, ჩემო კარგო, შეხედე პავლე,—მიუბრუნდა ის ქმარს,— რა პატარა ქალი ყოფილა?

— შენთან ყველა პატარა გამოჩნდება, ანეტა,—მიუგო მას ქმარმა ბოხი ხმით. მართლაც და ქრისტინე მხრებამდის ძლივს სწვდებოდა ქალბატონს.

— რამდენი წლისა ხარ, ჩემო კარგო?

— ოცა სამის გახლავარ, ქალბატონო.

— ბავშვი რამდენი ხნის გყავს?

— სამი თვის გახლავს.

— ძალიან კარგი. ჩვენი პირობა ხომ იცი, თვეში თუმანი და ტანფეხი; ექიმმა უნდა გნახოს, თუ ივარგებ.

— კი ბატონო.

— აბა წადი ახლა სამზარეულოში, იქ დაიცადე, ჩავიცვამ და ექიმთან წაგიყვან. ქრისტინეს მოეწონა ქალბატონი, მისი ტკბილი უდარდელი ხმა და მხიარული სახე. ყველაზე უფრო ესიამოვნა ის, რომ ქალბატონი ასე კარგათ ლაპარაკობდა ქართულათ. „ნამდვილი ქართული გეგონებოდა სწორეთ,“ ეუბნებოდა ის კოწიას და დედამთილს, როცა დაბრუნდა სამზარეულოში.

— დედა ყავდა ქართველი და ვაჟბატონიც ქართველია, ოღონ რუსეთშია გაზრდილი, მიუგო მზარეულმა.

— ეე, შენ რომ გეშინოდა რუსებში წასვლა,—ქართველები არ ყოფილარიან?—გაეხარდა მზეხას.

ცოტა ხნის შემდეგ დაუძახეს ქრისტინეს ქალბატონთან. ჩასხდენ ორივენი ეტლში და წავიდენ ექიმთან. ქრისტინე საშინელ დაღალულობას გრძნობდა. ტასიას დაცინვა ჩარჩა მას გულში და ახლა, როცა ის იჯდა მოკაზმულ ქალბატონის გვერდში, ცხადათ გრძნობდა, რომ მზისაგან გახუნებული და ლაქებიანი მისი მწვანე კაბა, მართლაც რომ სასაცილო იყო.

—რაფერი დაფურეშ[illegible]ები მაქ, გაიფიქრა მან, და შეხედა ქალბატონს, რომელიც თეთრ მსუქან ხელებზე იცვამდა ნა[illegible]იჯის ფერ ხელთათმანებს. ქრისტინემ შეუმჩნევველათ დამალა თავისი ხელები. ეტლი მიქროდა ბულვა[illegible]ისკენ; ისინი მიუახლოვდენ ზღვას. ქრისტინემ დაინახა ზღვა. მზის სხივებზე თეთრათ მოციმციმე, მთრთოლივარე თვალუწვდენი მიდამო სიზმარსავბ მშვენიერი ეჩვენა მას და ერთ წამს დაავიწყდა ყველა თავისი მწუხარება; პირზე ღიმილი მოუვიდა; მან კიდევ მიიხედა ქალბატონისაკენ, ის იჯდა დადუმებული, ამაყათ, მხიარულის ღიმილით ტუჩებზე. მის დიდ ქუდზე ნიავი ზღვის ტალღასავით აღელვებდა სირაქლემას თეთრ ფრთებს და ჰაეროვან არშიებს. ქრისტინემ გადაავლო მის ლამაზ მორთულობას თვალი, მერმე უნებურათ დაიხედა თავის სველ კაბაზე და კიდევ უფრო მწვავე სირცხვილი და შეურაცხყოფა იგრძნო ამ მოკაზმული ტანსალი ქალისაგან რომელიც ართმევდა დედას მის „ბალანას“, მის „მაროას“ და უნებურის შურით აევსო გული.

ეტლი გაჩერდა ერთ დიდ სახლის წინ; და ისინი შევიდენ ექიმის სახლში. დიდ დარბაზში ხალხი ბლომათ ისხდა და ელოდა ექიმს. ქალბატონმა აჩვენა სკამი ქრისტინეს და საჯდომათ, და თითონ კი ექიმის ცოლთან შევიდა. ქრისტინე დაღონებული იყო და მოუთმენლათ ელოდა ექიმის შემოსვლას; ის დარწმუნებული იყო, რომ რძეს გამოაწველინებს, ნახავს გემოთ და მაშინვე გაუშვებს. მის გვერდით იჯდა ერთი ახალგაზრდა ქალი და რაღასაცგან ამშვიდებდა მოხუცებულ თავდახურულ ქალს. კუთხეში ქალს ეჭირა შეხვეული ბავშვი და ნელნელა არხევდა, თანაც სხაპა-სხუპით და ტირილით ეჩურჩულებოდა რაღასაც იქვე მჯდომ ქალს; ეტყობოდა, ის კაცი ქმარი იყო მისი; სჩანდა ორივენი სოფლელები იყვენ. ქრისტინეს ყურადღება მიიქცია ამ ორმა ცოლ-ქმარმა. ორივეს სახეზე და ხელებზე წითლათ ჰქონდა დაყრილი, წამწამები და წარბები არც ერთს არ ჰქონდა და ქმარს ალაგ-ალაგ წვერ-ულვაშიც კი გასცვენოდა. სხვები ზოგი ფანჯრებთარ იდგენ, ზოგი მხიარულათ ბაასობდენ ერთმანეთში.

გარედან ისმოდა განუწყვეტელი ხმაურობა: ეტლების რახ-რახი, რეკა, მეხილეების ძახილი, და მთელი ღამის უძინარი ქრისტინეს ყურები ზრიალით ბანს აძლევდა ამ გულის გასაწვლილებელ ჟრიამულს. ქრისტინეს თანდათან უფრო და უფრო აუკანკალდა გული, თვალებში აუთამაშდა მწვავე ნაპერწკლები, რომლებიც რგოლებათ გადაქცეულნი წითლად უელავდენ შიგ. საშინლათ შეცხა, ქვისტინემ იგრძნო თითქო ვიღაც ნელნელა აცლიდა მას [ქვეშიდან სკამს და წამოიწია ასადგომათ, მაგრამ უცებ დაბნელდა და ადგომის მაგივრათ ის სწრაფათ აფრინდა ზევით მაღლა მაღლა, შავს მაგრამ ვარსკვლავებით მოჭედილ ცისკენ; ის მიფრინავდა და საამური გრილი ნიავი უგრილებდა გაცეცხლებულ გულს... მან ერთბაშათ იგრძნო შეღავათი და გახარებულმა მსუბუქათ ამოისუნთქა. ახლა ის მიფრინავდა ვარსკვლავებში, ყოველის მხრიდან ვარსკვლავების გუნდი ეხვია გარს და თავისი მოციმციმე სხივებით უნათებდენ მას ჰაეროვან გზას, ხელშიდაც ეჭირა მას ერთი მოელვარე პაწია ვარსკვლავი. ქრისტინემ ნამდვილათ იცოდა, რომ ეს ვარსკვლავი კი არ იყო, ეს მისი „პაწიწკალა მაროიე“ იყო და სიყვარულით ეჭირა ის ხელში და გახარებული შესცქეროდა მას „ახ, რა კაია, რა კაია ასე“—ფიქრობდა ის, „მარა აგი რაა, რაცხა რომ მწევს ამ მიორე ხელზე და არ მიშობს“?.. როცა ქრისტინემ გაახილა თვალები, ის ჩაკეცილი იჯდა იქვე იატაკზე, გული გაღეღილი ქონდა, თავზე და გულზე წყალს ასხამდენ; ირგვლივ იდგა ხალხი და რაღასაც ეკითხებოდა მას. ქრისტინე უცებ გააოცა ამ სანახაობამ: მას ერთობ დაენანა მისი სხივებიან ვარსკვლავებში მოგზაურობის დატოვება და ისევ დახუჭა თვალები, მაგრამ მწვავე ტკივილი იგრძნო მარცხენა ხელის ნეკზე, რომელზედაც, რაც ძალი და ღონე ქონდა, უჭერდა თავის უკბილო ღრძილებს მის გვერდში რომ ბებერი თავდახურული ქალი იჯდა. ბოლოს როგორც იყო ჩაასო ერთათერთი თავის კბილი ხორცში და ეს იყო რომ ეწეოდა ქრისტინეს და არ უშვებდა ზევით.

ქრისტინე ერთბაშათ მოვიდა გონს და მიხვდა, რომ გული შეღონებოდა, შერცხვენილი წამოდგა და საჩქაროთ დაიწყო ღილების შეკვრა. ყველანი წავიდ-წამოვიდენ თავთავიანთ ადგილას.

ამ დროს გაიღო მეორე ოთახის კარები და თეთრათ ჩაცმულმა, შუახნის, ჭაღარა შერეულმა, მაღალმა, სათვალეებიანმა კაცმა გამოიხედა, მოიხედა კუთხეში და ბავშვიან ქალს დაუძახა. ბავშვი ახლა ტიროდა, და მისი ტირილი უფრო კატის კნუტის კნავილს მიემსგავსებოდა. ბავშვიანი ქალი საჩქაროთ წამოდგა და გაეშურა კარებისაკენ, მაგრამ თეთრით მოსილ კაცთან მივიდა ერთი ვიღაც კაცი, რაღაც უთხრა მას და ქრისტინეზე ანიშნა. თეთრიანმა კაცმა, მიიწია, შეუშვა ბავშვიანი ქალი კარებში, გამოიხედა ქრისტინესკენ და თქვა:

— არა უშავს, იმასაც მივიღებ ახლავე,—და ანიშნა ქრისტინეს ხელით მისვლა.

ქრისტინეს მთელი ტანი სტკიოდა და უკანკალებდა. სუსტის ნაბიჯით სრულიად სოველი წავიდა ის კარებისაკენ, რომელიც ექიმმა დაუტოვა მას ღია. შევიდა თუ არა, მაშინვე ჩამოჯდა იქვე სკამზე. ექიმი ამ დროს რაღაცას ელაპარაკებოდა ბავშვიან ქალს, მაგრამ მაშინვე მობრუნდა ქრისტინესკენ, გამოხურა კარები და კითხა:

— შენ ხარ ძიძა?

— კი ბატონო, მე გახლავარ.

— ხშირათ გიღონდება ხოლმე გული?

— არა, ბატონო, მის დღემჩი არ დამმართია, ძუძუმ შემაწუხა ნამეტანი,—უპასუხა ქრისტინემ და თვალებზე ცრემლები მოადგა.

— არა უშავს რა, გაივლის, აბა გამოიწველე აი ამით,—მიაწოდა მან გუტაპერჩის ბუშტმობმული შუშის ქილა,—არ იცი, აი ასე უნდა,—აჩვენა მან, როგორც უნდა გამოეწველა, ახლავე მოვა ჩემი ფერშალი და შენ საქმეს გავაწყობთ. ის ისევ მოუბრუნდა ბავშს

— რამდენი ხანისაა ბავში?

— წლინახევრისაა, ბატონო.

— რამდენი ხანია ავათ არის?

— აგი ავათ რომაა, ბატონო, ქე იქნება ასე ექვსი თვეი თუ პაწაი მეტი.

— გაშალე.

ქალმა გაშალა ბავშვის მსგავსი რაღაც პატარა არსება, რომელიც თავიდან ფეხამდის იარებით იყო დაფარული; ალაგ-ალაგ იარებიდან ბალღამი სწვეთდა. ექიმს გაოცება დაეტყო პირზე, ის ჯიბეებში ხელებ ჩაწყობილი ცოტათი დაიხარა და დაუწყო ბავშვს ცქერა; რამოდენიმეჯერ ვადაატრიალებინა ქალს ბავშვი, პირი გააღებინა და უთხრა, რომ ისევ შეეხვია.

— ჰმ, მიუბრუნდა ის ამ დროს შემოსულ ფერშალს ქალს ღიმილით. მეორე სტადია სიფილისი... ძალიან საინტერესო სანახავია, აბა დახედეთ. ქალმა ისევ გააშლევინა ბავში და დაუწყო თვალიერება; ის რაღაცას ეუბნებოდა ექიმს და ორივენი იღიმებოდენ.

— არა, ექვსი თვეია ასე ბავშვი და ახლა მოიყვანე ექიმთან?

— არა, ბატონო, აი რომ უქნა ასე ორი თვეია, უწინ წითლად გამოაყარა ტანზე, მარა რაცხა სოფლის წამლები უქენით და ქე ჩოუცვინდა. ორმოც დღეს მერე კიდევ გამოყარა და ასე წიტებათ გადიექცა და ველარაფერი უსაშველე ჩვენ ფერშალს წოუყვანე და ბათომში გამომაგზავნა. რაცხა მისაშველე, ბატონო, შენიჭირიმე, ამის საცოდვაობამ მომკლა.

— ამის საცოდვაობას ბავშვის დაბადებამდის უნდა მოეკლი, თორემ ახლა რაღა დროა. სოფელში ცხოვრობთ და ასე ზნეობა ლაცემული ხართ, აბა როგორ არ გრცხვენია, დედაკაცო? ერთი მითხარი, შენ რამდენი ხანია ეს დაყრილი რომ აქვს?

— აი ქეა კაი ხანი, ბატონო,—უპასუხა მან წყნარათ, თითქო ექიმისაგან შეურაცხყოფის სიტყვები ვერ გაიგონაო.

— ქმარი გახლავს აქ მგონია, დაუძახე ერთი.—ქალმა ფრთხილათ შეახვია ცრემლიანის თვალებით და დაუძახა ქმარს. შემოვიდა თუ არა ის, ექიმმა მაშინვე შეუტია წყრომით.

— აბა, ერთი უყურე, რა ქენი შენ შენი გარყვნილობით! რას გავს, ყაძახო, შენი ცოლ-შვილი? შენც, შენც რას გევხარ, იცი რა არის თქვენი ავადმყოფობა?

— რა ვიცი, ბატონო, მაგ ქალმა ამოიტანა ბათომიდან, წითელი ქარიაო და ასე გადაგვახვია ყველას [illegible]

— ძალიან წითელი ქარი კია სწორედ, [illegible] კი არა ათაშანგია, ათაშანგი. ძალიან დაუსაჩუქრებიხარ შენ ცოლს—გაიღიმა მან ნიშნის მოგებით.—არა, ისე ახალგაზდა აღარ ხარ და როგორ არ გრცხვენია?—მიუბრუნდა ის ქალს.

— რავა იქნება, ბატონო, რას ბძანებ, ძძათ ვიყავი ბაღანას სჭირდა წითელი ქარი. ასე წიტებით მოკტა იგიც, იმიდან გადამეხვია და შინ რომ დავრბრუნდი, ჩემი ბაღანაი გაცემული მყავდა ძიძასთან სოფელში, ისევე მევიბრუნე ძუძუზე და ასე დამემართა მე უბედურს; კი, ბატონო, წითელი ქარია-ქალბატონმა მაშვინათე მითხრა, ყველაი დოხტურები ასე ჩივაო და არც გადამხოვიაო. ჩვენ მაინცადამაინც ვერ მოგვერია და ii ბაღანარ... მომეხმარე რაცხა, შენ და შენი ღმერთი და სამაგიეროს კი მოგართმმ—ამ სიტყვებით მიაშურა მან ექიმს ხელზე საკოცნელათ. ექიმმა საჩქაროთ ზიზღით მიმალა უკან ორივე ხელები და ცივად უთხრა:

— არა, მე არ ვარ მაგ ავათმყოფობის ექიმი, სხვაგან წადით. შემდეგ ქალმა კიდევ უთხრა რაღაც, მერმე ატირდა კიდევაც, მაგრამ ქრისტინეს მეტი აღარაფერი გაუკონია. ისე მოიცვა მისი გონება იმ ქალის უბედურებამ, და ფიქრით სწრაფათ გადავიდა თავის ბავშვის მომავალზე. მან წარმოიდგინა თავის პაწია ფუნთუშა გოგონა ამნაირი „წიტებიანი“ და შიშის ოფლმა დაასხი. ის მანქანასავბ უაზროთ დაემორჩილა ფერშალ-ქალს, რომელმაც გამოუწველა ძუძუ, ისევ მანქანასავით და უსულოთ შეჰყურებდა, როგორ ასხამდენ ამ რძეს პაწია შუშის მილებში, როგორ უყურებდენ შიგ ჩაშვებულ თეთრ შუშაზე შავ ხაზებს, რაღაცას ითვლიდენ. მერმე გაახდევინეს კაბის ზედა ტანი, პერანგი და თუმცა რაღაც უცნაურ-უხერხულ მდგომარეობას გრძნობდა, მაინც წინააღმდეგობას არ უწევდა, რადგანაც მისი აზრები შორს იყო იქედან. გაუშინჯეს ძუძუები, რაღაც ურახუნეს გულზე, ზურგში და ბოლოს ფერშალმა ქალმა უთხრა, რომ წასულიყო კუთხეში ფარდ[illegible] უკან ტანს სრულებით გაეხადა და იმ უცნაურ მაგიდ[illegible]ოდიყო, რომლის შესახედაობაც ისე აკვირვებდა ქრისტინეს, თავის მკლავებივით გამოწეული საფეხურებით. ის ჯერ ვერ მიხვდა, რას ეუბნებოდენ და როცა კიდევ გაუმეორეს და გაიგო საქმე რაშიაც იყო, ერთბაშათ გამოფხიზლდა, შეშინებული სახე სირცხვილით აუპილპილდა, საჩქაროთ წამოვარდა სკამიდან, მოიკრიბა კაბის წელი ხელში და კარებისაკენ გაიქცა.

— ეს რაღა მეტიჩრობაა, აბა სად მირბიხარ,—გადაეღობა ექიმი მას გზაზე—სოფლის ოტროველავ, ერთი მითხარ შენთვის ვართ მოცლილი? გაიხადე ამ წამში და ადი ზევით; ძიძათ გინდა დადგომა, ფულის შოვნა და გასინჯვა კი აღარ გნებავს? არა, ვითომ რცხვენია გიცნობთ, რაც ბძანდებით. любишь кататься, люби саночки возить! ქრისტინე, შეშინებული თაგვი რომ კატას გაურბოდეს, ისე მოტრიალდა და გაიქცა ფერშალი ქალისკენ; სასოწარკვეთილებით, მუდარით დაუწყო ამას ცქერა, მაგრამ ქალმა მკვახეთ უთხრა:

— აბა რას სჩადი, ქალო, შენს მეტი არავინ უნახავს ექიმს თუ როგორ არის შენი? საქმე. კარგი ერთი ნუ გვაცდევინებ, გაიხადე ჩქარა.

ქრისტინეს ჯერ კიდევ არ ჰქონდა კარგათ წარმოდგენილი, როგორ გასინჯავდენ მას, მაგრამ ის გრძნობდა, რომ ეს გასინჯვა მისთვის „სასირცხვილო“ „თავმოსაჭრელი“ საქმე იქნებოდა და ყოველ ღონის ძიებას ხმარობდა, რომ როგორმე თავი დაეხწია; იმიტომ გაიქცა ის, იმიტომ

მიუბრუნდა ფერშალ ქალს შემწეობის და ნუგეშის სათხოვრათ ვედრების თვალებით. მაგრამ რა გაიგონა მისი ცივი სიტყვები, ერთბაშათ მიხვდა რომ თანაგრძნობას ის აქ ვერ ეღირსებოდა, სირცხვილს გარდა ის გრძნობდა რაღაც უსამართლო შეურაცხყოფას რისთვის, რისთვის ეპყრობოდენ ასე პირუტყვსავით, რა დააშავა, ვისი ბრალი იყო ყველა ეს, თუ არ დედამთილის და კოწიასი, იმ „ჩოფანო„, „გლახა“ კოწიასი, რომლის ზიზლის მეტს ახლა არაფერს გრძნობდა ის გულში. ექიმი და ფერშალი კი აჩქარებდენ მას, და მანაც გაოროტებულის გულით შეასრულა ის, რასაც ითხოვდენ: მისგან გაბოროტებულმა გაიხადა და გავიდა მაგიდაზე...

როცა გასინჯეს და გამოვიდა გარეთ, ის ისეთ სირცხვილს და დამცირებას გრძნობდა, თითქო მრთელიყრილობის წინ წკეპელი დესკრესო..ა

— ღმერთს მოვეკალი და ამ დღემდი არ მივეწიე, კაი იყო და რაღა ახლა — უთხრა მან კოწიას, როცა დაბრუნდა შინ და პირდაპირ სამზარეულოში ავიდა. კოწიამ რა შეხედა ქრისტინესი ნკვდარ ნამტირალევ სახეს, მაშინვე იგრძნო თავისი დანაშაულობა ცოლის წინაშე; იგრძნო, რომ მან ხარები არჩია ცოლს და მიხვდა თავის შეცდომას, რომლის წყალობითაც შეიძლება ქრისტინე სრულიადაც დაკარგავდა მას, და თითქო კიდევ უფრო დაპატარავდა, გახდა და მოიკუნტა. იმას უნდოდა წამოშხტარიყო და დაეყვირა: „ქრისტინე, მიატოვე ყველაფერი, წავიდეთ შინო“ მაგრამ ამის სამაგიეროთ დედას შეხედა, რომელიც ამ დროს დაშვიდებული ელაპარაკებოდა ქრისტინეს: „რა უყოთ, ბეჯითათ ასე უნდა, ნასტავლ კაცს აბა ყვენ რომ ვერ ვასწავლით ჭკუას“ და შერცხვენილმა ჩაღუნა თავი, გამოიძრო წელიდან წითელი გრძელი ქისა, ამოიღო თუთუნი, ჩაყარა ჩიბუხში და გაცხარებით დაუწყო ტენა.

ამ დროს ქრისტინეს დაუძახეს ოთახეში, მერმე აბანოში გაგზავნეს და იქიდან დაბრუნებული შეიყვანეს ბავშვთან, ბავშვის დიდ ნათელი ოთახში. ჩააბარეს მას პატარა გამხდარი ორითვის ყმაწყილი, რომელსაც ამ ორი თვის ბანმავლობაში ოთხი ძიძა გამოუცვალეს და ეს ერთი კვირაა ხელოვნურათ აჭმევდენ ძროხის რძეს.

ნ. ნაკაშიძისა.

(შემდეგი იქნება.)

---

## ღ ი ა წ ე რ ი ლ ი

ირაკლი ივანეს ძეს რამიშვილს.

მოწყალეო ხელმწიფევ! 1898 წ. ს. ქვემო-სურების (ოზურგ. მაზ.) მცხოვრიბლებმა თქვენ მოგანდვეს ორკლასიან სასწავლებლის შენობის აგება და ამისათვის საჭირო თანხაც გადმოგცეს სხვადასხვა სახით. მას მერე კაი ხანი გავიდა, ანგარიში კი არავის მიუღია და, ჩვენის აზრით, არც სკოლის შენობაა რიგიანათ მოწყობილი, როგორც, მაგ., ეზო არაა ქვითკირით შემოვლებული, როგორც უნდა ეოფილიყო და სხვ.

თუმცა ამ საქმის გამოსარკვევათ სამედიატორო სასამართლო იყო ერთ დროს არჩეული, მარა სხვადასხვა მიზეზთა გამო მათი არაფერი გვსმენია და არც მოსალოდნელია რაიმე. საქმის გამორკვევა კი აუცილებელია, როგორც თქვენთვის, ისე საზოგადოებისათვისაც. ამისდა მიხედვით ამ წლის 8 აპრილს ცალკე კრებაზე ს. ქვემო-სურების მცხოვრებლებმა ამ საქმის წარმოება ჩვენ მოგვანდვეს შეუზღუდველი უფლებით. ამიტომაც სურების ორკლასიან სკოლის დამაარსებელთა ყოველივე უფლება თქვენ მიერ ხსენებულ სასწავლებლისათვის შენობის აგებაზე მოხდენილ ხარჯთა ანგარიშის მოთხოვა თქვენგან ჩვენზე გადმოდის. ჩვენ კი, საერთო მოლაპარაკების შემდეგ, საჭიროთ ვსცანით მოგმართოთ შემდეგი წინადადებით:

ავირჩიოთ ამ საქმის უკანასკნელათ გამოსარკვევათ სამედიატორო სასამართლო და რადგან წინანდელ სამედიატორო სასამართლოს უფლება ჩვენთვის გაურკვეველ მიზეზთა გამო რაღაც ბურუსით მოცული შეიქნა, შემდეგში ყოველნაირ მითქმა-მოთქმის მოსასპობათ საჭიროთ ვრაცხთ აქვე აღვნიშნოთ მისი უფლება.

1, სამედიატორო სასამართლოს შეუზღუდველი უფლება ექნება თქვენ მიერ სურების ორკლასიან შკოლის შენობის აგებისათვის მოხდენილ ხარჯთა გამოანგარიშება და ამისდა მიხედვით რომელიმე გადაწყვეტილების მიღება, რომელიც გამოცხადებულ უნდა იქნას ყველა ქართულ გაზეთში და 2, სამედიატორო სასამართლოს ხმის უმეტესობით დადგენილება სავალდებულოა ორივე მხრისათვის, რანაირიც უნდა იყოს ეს დადგენილება, შეეხება ეს ზნეობრივ, თუ მატერიალურ მხარეს ან ორივეს ერთად; ამასთან ეს დადგენილება უკანასკნელია—ყოველნაირი აპელაცია შეუძლებელია.

თუ ყველა ამას სავსებით ეთანხმებით, გთხოვთ გვამცნოთ ადრე, ყოველ შემთხვევაში 10 დღის განმავლობაში და თავის მხრივ მედიატორეც დაასახელოთ, თორემ საქმე გაგვიჭიანურდება და ეს ჩვენთვის მაინც არაა ხელსაყრელი. ამასთან წინდაწინ გაუწყებთ, რომ ყოველივე მიწერ-მოწერა მხოლოდ გაზეთის საშუალებით შეიძლება. კერძო მიწერ-მოწერას სხვადასხვა მიზეზებით უარვყოფთ.

თუ ჩვენ წინადადებაზე არ დათანხმდებით, ჩვენთვის ცხადი იქნება ამის მოტივი და მაშინ იძულებული ვიქნებით სახელმწიფო სასამართლოს მივმართოთ.

დავშთებით თქვენი პატივისმცემელნი: სერაპიონ ს. რამიშვილი და ნოე ბ. რამიშვილი.

---

## გამოფხიზლება.

დიდხანს, დიდხანს ვუგალობე
ბედის ვარსკვლავს, მზეს და მთვარეს;
ია-ვარდი მიმოვფინე
ჩემს გარემო არე-მარეს;

შვება-ლხენა-ნეტარებას
მიუძღვენი სული, გული;
იდეალათ გავიხადე
სიყვარული, სიხარული;

მაგრამ მაინც რა გავჩხრიკე
და განვსაჯე ჩემი თავი,
შავ-ბნელ ჯურღმულს შევადარე,—
სოფელ-ქვეყნის უნახავი.

ვიგრძენი, რომ ცხოვრების ველს,
ეკალ-ნარ-ით მოკირწლულსა,
ვინც არ განვლის... მხარს აუქცევს
ხალხის ვარამს, ხალხის წყლულსა,—

იგი მუდამ ბნელში სცხოვრობს...
მაგალითი ჩემით ვნახე,
და. ჩემებრივ ბნელში შთომილთ.
გულ-დაწყვეტით გადავძახე:—

განა ბნელი მისთვის არი,
რომ კაცი შიგ გახრწნილიყო?..
არა, მხოლოდ იმისთვის, რომ
ბნელს ნათელი მოყოლიყო.

მ. ახოსპირელი.

---

## წერილი რედაქციის მიმართ.

ბ-ნო რედაქტორო! უმორჩილესათ გთხოვთ, ადგილი დაუთმოთ ამ მცირე წერილს თქვენი პატივცემული გაზეთი „კვალის“ მახლობელ №-ში.

ანდაზაში ნათქვამია: ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო,—და არა მგონია რომ, ამ არაკს ჭიათურელ ·ექსპორტიორებზე გულმოდგინეთ ასრულებდეს კიდევ ვინმე!..

თუმცა არა ერთხელ მიმართა მრეწველთა საბჭომ, ფირმების და მრეწველებს ოფიციალურ წერილებით: „დაურიგეთ მრეწველ-მუშა-ჩალვადრებს ფული შაბათობით, ნუ აჩერებთ კვირამდისო, მაგრამ, სულ ამაოთ ჩაიარა ჯერჯერობით წერილების გზავნამ (ამას ასრულებს მხოლოდ ორი კანტორა: ძმ. ფორუდების და ახალი ამხანაგობის „შავიქვის.“) დანარჩენნი კი, ისევ ძველებურათ მოქმედებენ, ესე იგი, გაიღება ექსპორტიორის „კანტორა“ დღის 11 საათზე კვირას, დაიწყებენ წვრილ მრეწველებზე ფულის დარიგებას, რომელიც გასტანს ნაშუადღევის 2 საათამდის. შემდეგ წვრილი მრეწველები დაიწყებენ მუშა-ჩალვადრებზე ფულის დარიგებას და, გასტანს საღამოს 5 საათამდის. ამრიგათ დილიდგან მოსული მუშა იცდის საღამომდის „კანტორის“ წინ. აიღებს ფულს თუ არა, უხვევრათ იქვე „სამიკიტნოში“ (რომელთა რიცხვი აქ ბევრია) და მთელი კვირის ნაშრომ-ნაოფლარს ორ საათში ათავებს და ადვილი მოსალოდნელია თავპირ-დამსხვრეული ეწვიოს ჩვენს ბედკრულ სავათმყოფოს. ან კი რა ქნას საწყალმა „სამიკიტნოში“ რომ არ შეუხვიოს! ზოგს სახლი ისე შორს აძლავს, რომ საღამოს 7-საათის შემდეგ შეუძლებელია მგზავრობა ისეთ კლდიან-ღრიან ადგილებზე როგორიც ჭიათურა და მისი ახლო-მახლო სოფლებია, და სწორეთ ამისათვის უხვევს „სამიკიტნოში“, რომ თავი შეიფაროს მაგრამ, ნამდვილათ კი, თავ-შეუფარავიც რჩება და, მეორე დღეს (ხან იმავე ღამეს) ცარიელ-ტარიელი მიდის თავის ცოლშვილთან. არა მგონია ყურადღების ღირსი არ იყოს ყველა ეს და ძრიელ კარგის კი იზამს მრეწველთა საბჭო. რომ იხმარდეს რაიმე ღონის ძიებას ამ წესის (კვირაობით ფულის დარიგებას) შესაცვლელათ და ახალის (შაბათობით) შემოსაღებათ. ამრიგათ ჩვენი მუშებიც გადარჩებიან ამ სამწუხარო შემთხვევებს და მრეწველთაც მოსვენება ექნებათ კვირაობით. მაშინ შეუძლიათ ისარგებლონ საკვირაო შკოლით, ბიბლიოთეკით თეატრით და სხვა გონების განსავითარებელ დაწესებულებით.

თუმცა მთელი ერთი წლის ჭიათურის შემოსავალი აბანოს აშენებაზე დაიხარჯა და 15,000 მანეთიც წლიურათ უნდება, მაგრამ მთელი კვირაა აბანო არ მუშაობს და უკან ბრუნდება საბანაოთ მისული ხალხი. ნეტავ ვიცოდეთ მაინც, რა არის მიზეზი!?

ლადო გუბელი.

—

ბატონო რედაქტორო! უმორჩილესად გთოვ ნება მიბოძოთ რომ თქვენი პატივცემული გაზეთ „კვალის“ საშვალებით უღრმესი მადლობა გამოვუცხადო ბ. დიომიდე ე. ჭკუასელს, რომელმაც წლით საბავშვო ჟურნალი „ჯეჯილი“ გამოუწერა ქუთ. მაზრაში აბაშის ერთკლასიან სასწავლებლის მოწაფეებს. კეთილის გულით ვუსურვებ აქაურ ინტელიგენციას, რომ მათში მრავალი სხვა ამისთანა კეთილის მსურველი და გულშემატკივარი გამოჩენოდეს ჩვენ ღარიბ სასწავლებელს.

მასწავლებელი ლ. გეგუჩაძე.

—

ბატონო რედაქტორო! უმორჩილესათ გთხოვთ ნება გვიბოძოთ თქვენი გაზეთის საშუალებით გულწრფელი მადლობა გამოვუცხადოთ შემდეგ პირთ, რომელთაც არ დაიშურეს თავიანთი წვლილი სოფელ დანირის ორკლასიან შკოლისთვის ჟურნალ-გაზეთების დასაკვეთათ.

თხილაძე 1 მან., მანჯგალაძე 1 მან., ულუმბელაშვილმა 1 მან, ქაბზინაძეებმა 2 მან, შენგელიამ 1 მან., ბაკურაძემ 1 მ., [illegible] 1 მ., ჟვანიამ 1 მ, დავითოვმა 50 კაპ., სტურუა 50 კ., ჩიკაშუა 50 კ., ბუაძე 50 კ., სანოძე 50 კ., ჯიქიძე 50 კ, ახობაძე 50 კ., ი. მანჯგალაძემ 50 კ., ნ. მანჯგალაძემ 50 კ., ხვედელიძემ 50 კ., ხავთასი 50 კ., ასათიანი 50 კ, კომახიძე 50 კ., ჭიაბეროვმა 50 კ, ვაშაკიძე 50 კ., ფარველავა 50 კ, ა. ვაშაკიძე 50 კ, მ. ვაშაკიძე 50 კ., რაზმაძე 40 კაპ, კ. ვაშაკიძე 40 კაპ., ლორთქიფანიძე 40 კ., მუავია 40 კ, შილაკაძე 35 კ., შილაკაძე 30 კ., ქვინთელია 30 კ., ტორიკაშვილი 30 კ., ლეკვიიშვილი 30 კ, უაზაროვ 30 პარკუსაძე 25 კ, კვერნაძე 20 კ., ლანდია 20 კ., ქემოკლიძე 20 კ., პეტრუსოვ 20 კ., კურწიკინ 20 კ., ბურგენიძე 15 კ. ჩიქოვანი 10 კ.

მელქისედეკ ფრანგი.

—

ბატონო რედაქტორო! უმორჩილესათ გთხოვთ ნება გვიბოძოთ თქვენი გაზეთის „კვალის“ საშუალებით უღრმესი მადლობა გამოვუცხადო ქვემოხსენებულ პირებს: ბ. ი. დ. კილაძეს, რომელმაც უფასოთ დამიბეჭდა აფიშები ჩემდა სასარგებლოთ გამართულ წარმოდგენისთვის; ამასთანავე,—ქბ-თ რ. მგელაძისა და ა. ნიკოლაიშვილის ასულთ; ბბ-თ. გ გუგუნავას, ბ. მ მგელაძეს, ი. კალანდაძეს, გრ. ურატაძეს, ან. ჟღენტს, ნ. მგელაძეს, ა ჟღენტს, ი. ჟღენტს და სხვ. და სხვ., რომელთაც იშვიათი თავდადებით იზრუნეს და კიდევაც აღმოაჩინეს წყაროები ჩემი მდგომარეობის მატერიალურათ გაუმჯობესებისათვის; ბოდიშს ვიხდი მათ წინაშე, რომ სხვადასხვა მიზეზების გამო ჩემთვის შეუძლებელი დარჩა ამ ზნეობრივ ვალდებულების თავის დროზე შესრულება.

აგრეთვე დიდ მადლობას ვუძღვნი ქ-ნ ეკ. ფხაკაძის ასულს, რომლისგანაც მივიღე 11 მან. 5 კ. ჩემდა სასარგებლოთ შეკრებილი, და ყველა იმ პირებს, რომელთაც გამოიღეს თავისი წვლილი ჩემი მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ.

იურიევის უნივერსიტეტის სტუდ. მათემ. ლავრენტი კილურაძე.

დრ. რედ. ნ. იაკ. ალექსეევ-მესხიევი.
გამომცემელი ან. თ.-წერეთლისა.

ამ მაისის 25-ს კვირას, თფილისში გაიმართება

**ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სასარგებლოთ**

# სახალხო სეირნობა

საყველმოქმედო ბაზრითურთ.

შემოწირულებათა გამოგზავნა ამ ბაზრისათვის შეიძლება კნ. ოლგა თადეოზის ასულს ჭავჭავაძესთან (ნიკოლოოზის ქუჩა, № 21) და ქართ. შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიაში (სასახლის ქუჩა, თავად-აზნაურობის ქარვასლა).